პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და ხრ. საბ. მ, გ წ. არ. და
მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონი { 14—76. რედაქტორის.
10—58. მდივნის.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49

წლის მოწერის თვიური ფასი: მუშა მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში- 85 კაპ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კაპ. 20 კაპ. ჩვეულებრივ-ბით მონპარელის სტრიქონი. სავალდებულო-რო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 გვ.

დღიური

პოლონეთში გრძელდება [illegible] მთავრობა ტერორს აწარმოებს განსაკუთრებით [illegible] მიმართ.

რუმინეთის ჯენერალურ შტაბში [illegible] ოფიცრების და ღენერლების ხდომა.

ნორვეგიაში მოხდა შეტაკება მუშებს და პოლიციელებს შორის

გამწვავდა დიპლომატიური ურთიერთობა ჩეხო-სლოვაკიას და რუმინეთს შორის

დანციგში მოხდა შეტაკება კომუნისტებს და პოლიციას შორის

№ 112 (967) კვირა, 18 მაისი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კაპ. (500 მილ.) № 112 (967)

ჩვენი მტრების ბანაკში

ვერსალის შემდეგი ხანის ევროპა საფრანგეთის იმპერიალისტების ჯიჯგნი შეიქნა. მისი რკინის ხელის ქვეშ მოჰყვა არა მარტო დამარცხებული ქვეყნები ცენტრალური ევროპის, არამედ „გამარჯვებული" „პატარა" სახელმწიფოებიც. უკანასკნელები მას ესაჭიროება, რათა მათგან გამოჰკვეთოს დამხმარე ძალა, „ზარბაზნის [illegible]" იმ შემთხვევისთვის, თუ რეინზე განარცხული გერმანია ფეხზე წამოდგომას გაივლებს გულში ან და იმ დროისთვის, როდესაც საფრანგეთი დააპირებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას. სამაგიეროთ საფრანგეთი ეხმარებოდა ამ ქვეყნებს იარაღით, ფულით, დიპლომატიით, აქეზებდა მათ დიდმპყრობელურ საქმეებზე, ამაგრებდა მტაცებლური კლასების მისწრაფებებს, ერეოდა მათ სამხედრო მუშაობაში, აძლევდა ინსტრუქტორებსა და ხელმძღვანელებს მათ შტაბებს. სულ უკანასკნელ ხანებში მან მხარი დაუჭირა რუმინიას ბესარაბიის საკითხში და სხვა. ამნაირათ საფრანგეთის გაბატონებული კლასები პუანკარეს მეთაურობით შეიქნენ სულის ჩამდგმელები ავანტიურისა და რეაქციის აღმოსავლეთ ევროპაშიც. ასე იყო დღემდე. როგორია მდგომარეობა ახლა?

როგორც მკითხველებმა იციან, საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა მემარჯვენე ნაციონალური ბლოკი, რომელიც მართავდა რესპუბლიკას და ამნაირათ დამარცხდა თვით პუანკარეც, ევროპის ჟანდარმი. გაიმარჯვა მემარცხენე ბლოკმა.

თუ მემარცხენე ბურჟუაზიული ბლოკის უმთავრესი პარტია, რადიკალ-სოციალისტების, არსებითად მხარს უჭერდა ხშირად პუანკარეს პოლიტიკას (მაგ. რურის საკითხში) ყოველშემთხვევაში ერთი ცხადია დღეს, რომ მემარცხენეთა კოალიცია მეტ შესაძლებლობას იძლევა, მისი შემადგენლობის გამო, ახალი, უფრო ზომიერი პოლიტიკისას, ვინემ ამას ადგილი ჰქონდა დღემდე. ამ გარემოებას შეუძლია რამოდენიმეთ შესცვალოს ზემოხსენებული „პატარა" ქვეყნების შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა. და ამას უკვე გრძნობენ ამ სახელმწიფოების მმართველი წრეები. დღევანდელ ტელეგრამებში მკითხველი შეხვდება მაგალითად ასეთ ცნობებს:

საფრანგეთის არჩევნების შედეგებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა რუმინიის მმართველ წრეებში.

პუანკარეს დამარცხებამ იმედი გაუცრუა იუგო-სლავიის გაბატონებულ კლასებს.

ჩეხო-სლოვაკიაში მოელიან საბჭოთა კავშირისადმი პასიურ დამოკიდებულების შეცვლას უფრო აქტიური დადებითი პოლიტიკით, რომ საფრანგეთმა არ გადაასწროს წინ, რადგან მოსალოდნელია რესპუბლიკის ახალმა მთავრობამ მოლაპარაკება გამართოს საბჭოებთან.

საფრანგეთის არჩევნებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო პოლონეთის მემარჯვენე პარტიები.

ასეთია საერთო სულისკვეთება, რომელიც მოედო საფრანგეთის იმპერიალისტების გავლენის ქვეშ მოხვედრილ ქვეყნებს, უკეთესათ რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების რეაქციონურ კლასებს და მთავრობებს. საფრანგეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ცვლილების მოლოდინში იწყება მთავრობათა კრიზისი აქა-იქ ამ ქვეყნებში, ხდება ცვლილებები სამინისტროებში. ერთი სიტყვით, მოელიან ახალ ამბებს და არა უსაბუთოთ რადგან საფრანგეთის ამომრჩეველმა ხმა მაღლა განაცხადა, რომ მას არ სურს ომი და ომის პოლიტიკა, მას არ სურს ახალი გადასახადები, რომ მისი ფულით დახმარება აღმოუჩინონ უცხო სახელმწიფოებს ომის მოსამზადებლათ და სისხლის საღვრელათ, ისიც მაშინ, როდესაც დიდი ომით მიყენებული ჭრილობები მოშუშებული არ არის, როდესაც „გამარჯვებული" საფრანგეთი დამარცხებულის პირობებში ცხოვრობს და სახელმწიფოს ძველი ვალების სარგებელსაც ვერ ისტუმრებს. ეჭვი არ არის, რომ ახალი მთავრობა იძულებული იქნება დროებით მაინც ანგარიში გაუწიოს არჩევნების შედეგებს და აწარმოოს უფრო ზომიერი პოლიტიკა. რაც შეეხება კერძოთ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან, გამარჯვებული პარტიების პროგრამა შეიცავს მოთხოვნას ამ კავშირთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისას და ამ მხრივაც წარსული არჩევნები იყო აშკარა უნდობლობის გამოცხადება პუანკარეს მთავრობისადმი. და ეს მაშინ, როდესაც ხსენებული პატარა სახელმწიფოების მუშაობა, პუანკარეს წასისინებით, გაჟღენთილი იყო პროვოკაციით და ავანტიურით ჩვენდამი.

ამნაირათ საფრანგეთის ძველი მთავრობის დამარცხებამ ერთი ალიაქოთი გამოიწვია ჩვენი მტრების ბანაკში და მათ ილიუზიებს ფრთები შეაკვეცა.

თავისთავათ იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირი ისარგებლებს ამ ახალი მდგომარეობით, ამ არევ დარევით მტერთა ბანაკში და შეეცდება უფრო განამტკიცოს თავისი მდგომარეობა როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ყრილობის შედეგები

დაასრულა თავისი მუშაობა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მესამე ყრილობამ. ეს იყო გასაბჭოებულ ამიერ კავკასიაში ლენინის არმიის მესამეჯერ დათვალიერება. დათვალიერება მოხდა ბელადის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მით უფრო გამოირჩეოდა თვალში ის წარმატებანი და მიღწევები, რომლებიც წილად ხვდა ჩვენს პარტიას აქ, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, აფხაზეთის, აჭარის, ოსეთის, ნახიჭევანის და სხვ. რთულ პირობებში. ლენინის არმიის ამიერ-კავკასიის რაზმი თავისი, ახლა ფიზიკურად ჩვენგან განშორებული, მაგრამ მშრომელთა გულში მარად ცოცხალი ბელადის ღირსი აღმოჩნდა.

ამიერ კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოების პოლიტიკურმა და საორგანიზაციო ანგარიშებმა გადაშალეს ყრილობის წინაშე მუშებისა და გლეხების ლენინის პარტიის განუწყვეტელი ზრდის, მისი გაძლიერების, მისი ორგანიზაციულად განმტკიცების და მის პოლიტიკურ, კლასობრივ მტრებზე—მენშევიკებზე, დაშნაკებზე, მუსავატისტებზე და მათ მსგავსებზე—გამარჯვების სურათი. ყრილობამ დაადასტურა ამ ბურჟუაზიული და ნახევრათ ბურჟუაზიული პარტიების დაშლა, რაც შედეგია სხვადასხვა ერების მუშათა და გლეხთა მჭიდრო კავშირის, მათი ერთსულოვანი ბრძოლის ნიჩბებით ხელში იმისათვის, რომ დაესამარებინათ პარტიები, რომლებმაც მთელ რიგ წლების განმავლობაში ატყუებდენ და ღალატობდენ მათ, და იმავე დროს საერთო ღონისძიებებით აღედგინათ ქალაქისა და სოფლის მეურნეობა.

ამრიგათ ამიერ კავკასიის მუშებმა და გლეხებმა მიაღწიეს შედარებით მშვიდობიანი არსებობის პირობებს, ახლა მათ არც ერთი მტრული კლასი ან წოდება არ ედავება ძალაუფლებაში, არ ოცნებობს პროლეტარული დიქტატურის დამხობაზე. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია გულზე ხელდაკრეფილი ვიყოთ, ყურადღება არ მივაქციოთ ზოგიერთ ადგილებში დარჩენილ მტრების ნარჩენებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ დამშვიდებულან: მათ შეუძლიათ, შემოდგომის ბუზებივით, გვიკბინონ უფრო მწარედ, თუ თავისი შხამიანი ისარით არა, ევროპის იმპერიალიზმის შხამიანი ისარით მაინც.

ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ მომავალშიც და მოვამზადოთ ჩვენი შემცვლელები ახალგაზრდა ლენინელების წრიდან, რომლებიც არა თუ არ დათმობენ არავის საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მონაპოვარს, არამედ ამ მონაპოვართ გახდიან მთელი დანარჩენი მშრომელი კაცობრიობის ხვედრათ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის საშუალებით.

პარტიას, რომელმაც საერთო სახით უკვე გადასწყვიტა შინაგანი [illegible] ყველა მთავარი პოლიტიკური ამოცანები ამიერიდან შეუძლია და უფრო ენერგიულად უნდა შეუდგეს თავისი შემცვლელების აღზრდას, ნამდვილი ლენინელების გაწვრთნას და ყრილობამ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა, მან შესაფერი ადგილი მიუჩინა მუშაობას ახალგაზრდობის შორის.

პარტიამ, რომელმაც თითქმის ყველა მშრომელთა ნდობა მოიპოვა თავისი ერთგულებით რევოლუციის საქმისადმი და დანგრეული მეურნეობის აღდგენის უნარით, ბუნებრივია, მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს სამეურნეო საკითხებს. და ამიტომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი პარტიის ყრილობები ძლიერ ნაკლებ წააგავენ პოლიტიკური პარტიების ყრილობებს. ჩვენი ყრილობების დღის წესრიგში უფრო და უფრო იშვიათად ვხვდებით პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს. ჭარბობენ სამეურნეო საკითხები. ჩვენი პარტია, რომელსაც მასები კომუნიზმისაკენ მიყავს, უმთავრესად ხდება საწარმოო, მსოფლიოს საბჭოთა კუთხის გამაგრებულ პარტიად იმისათვის, რომ მსოფლიო სოციალისტური გადატრიალება უფრო წარმატებით მოხდეს.

და ჩვენი ყრილობა შეეხო მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკის არსებით საკითხს. ეს მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკა მიმართულია ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და თავისუფალი ბაზრის ბურჟუაზიული სტიქიის უარყოფითი მხარეების დაძლევისაკენ „თავისუფალი" ბაზრისათვის ლაგამის ამოდება შეიძლება და უნდა მოხდეს უმთავრესად ეკონომიური ზეგავლენისა და სახელმწიფოებრივი მოწესრიგების მეთოდებით. კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგება და ბაზრის ანარქიული სტიქიისათვის შესაფერი კალაპოტის მიჩენა—აი, იმ კერძო ვაჭრის, ასე სთქვათ „დარწმუნების" საშუალებები, რომელსაც ვერ დაუტოვებია მყიდველისა და მომხმარებლისათვის ორი და მეტი ტყავის გაძრობის საძაგელი ჩვეულება. იმათთვის კი, ვინც ყურად არ იღებს ამას, საბჭოთა ხელისუფლებას მოეპოვება მარაგში „იძულების" შესაფერი მეთოდები ასე სთქვა ჩვენმა ყრილობამ. ამასვე იტყვის, ალბათ, ჩვენი პარტიის მომავალი საკავშირო ყრილობა.

ყრილობამ დაადგინა ორგანიულად გაართიანოს პარტიული და საერთო, მუშურ გლეხური თვალი—მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პარტიული საკონტროლო კომისია. ამიერიდან [illegible] კუთვნილებას უფრო მკაცრად დაიცავენ, ვიდრე დღემდე. ადგილებზე ხელის შემწყობი კომისიები, მუშა-კორესპონდენტების, სოფლის კორესპონდენტების და ჯარისკაც-კორესპონდენტების ათასი თვალი, გაუძლიერებს ამ ორგანოებს ულმობელ ბრძოლას მსხვილ და წვრილ არამზადების წინააღმდეგ, რომლებიც თავის ხელს აფათურებენ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ღარიბ ჯიბეში.

ყრილობის სხვა დადგენილებებიდან უნდა მოვიხსენიოთ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება ამიერ კავკასიაში ჩვენი ორგანიზაციებისათვის სახელის შეცვლის შესახებ. საქმე იმაშია, რომ რა სამწუხაროც, რა ძნელი არ არის რ. კ. პ. სახელწოდებისთან გამოთხოვება, მაგრამ მოგვიხდება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის გამო, რ. კ. პ. მომავალ მეცამეტე ყრილობაზე, ალბათ, მიღებული იქნება, რომ ამიერიდან ძლევამოსილ პარტიას, ოქტომბრის პარტიას, ერთი სიტყვით რ. კ. პ., ეწოდოს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კომუნისტური პარტია". ამრიგად პარტია კარგავს თავის „ნათლის" სახელს — რუსეთის პარტიიდან ის ხდება საკავშირო პარტიად, მაგრამ ასეთ პირობებში საჭირო აღარ არის სახელწოდებები „საქართველოს კომპარტია", „სომხეთის კომპარტია" და სხვ. ჩვენმა ყრილობამ დაადგინა წამოაყენოს წინადადება მიღებულ იქნას სახელწოდებები: „ს. ს. რ. კ. კომპარტიის აზერბაიჯანის ორგანიზაცია" და სხვა.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი ყრილობების მუშაობაზე ყრილობის ციება-ცხელება იწყებს ჩვენი ორგანიზაციების ნაწილებს ჯერ კიდევ მეტად ადრე საკავშირო ყრილობამდე: რაიონული კონფერენციები, შემდეგ საერთო საქალაქო და სამაზრო კონფერენციები, შემდეგ რესპუბლიკანური ყრილობები, შემდეგ ამიერ კავკასიის ყრილობა და ბოლოს, როგორც დასასრული — საერთო საკავშირო ყრილობა. ამასთან ერთად, პარტიის აქტიური მუშაკები, საბჭოთა და პროფესიონალური მუშაკები, მეტ ნაწილად განაგრძობენ თავის ჩვეულებრივ მუშაობას, მუშაობენ პრეზიდიუმებში, პლენუმებზე ამის შედეგია—საშინელი დაღლილობა, მოქანცვა, „სანთლის წვა ორივე მხრიდან". ასე არ ვარგა ეს უნდა შეიცვალოს, მუშათა კლასი, როგორც წესიერი, ანგარიშიანი პატრონი, ვერ დაუშვებს თავისი რწმუნებულების, თავისი ნდობით აღჭურვილი მუშაკების ენერგიის ასეთ ხარჯვას.

ეს არის ახლო მომავლის საქმე. ახლა კი თითოეულმა მუშამ, თითოეულმა მშრომელმა უნდა შეიგნოს, ის უნდა გაერკვეს ამიერ კავკასიის მესამე ყრილობის ფრიად მნიშვნელოვან დადგენილებებში, რათა უფრო ჩქარა და უფრო საიმედოთ გაატაროს ისინი ცხოვრებაში, ღრმა კვალი გაავლოს ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში.

მამია ორახელაშვილი.

რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტი

II

ადგილობრივი ბიუჯეტი უნდა იკვებებოდეს შემდეგი შემოსავლით: 1) ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სარეწაო გადასახადის და სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებიდან გადარიცხვებით, 2) ადგილობრივ — რაიონის — მნიშვნელობის მამულების, შენობების და წარმოებათა შემოსავლით და 3) სარაიონო გადასახადით და სხვა შემოსავლით

საკავშირო საბჭომ 1923 წლის 21 ნოემბერს დაამტკიცა „დროებითი დებულება ადგილობრივ ფინანსებისა". ამ დებულებით რაიონის ბიუჯეტის შემოსავალში უნდა ჩაირიცხოს სასოფლო სამეურნეო გადასახადიდან მაზრის სასარგებლოდ გადარიცხვათა მთელი შემოსავლის 1,1. სარეწაო გადასახადიდან—პირველი სამი ხარისხის მთელი შემოსავალი საფაბრიკო-სამრეწველო დაწესებულებათა, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი. ეს გადარიცხვანი კანონით სახელმწიფო გადასახადის 50 პროც. შეადგენს ადგილობრივ გადასახადებიდან რაიონის ბიუჯეტს უნდა მიეცეს საფაბრიკო სამრეწველო ბინებზე გადასახადიდან შემოსავლის 0,1. მაგრამ ყველაზედ უმთავრესი მნიშვნელობის შემოსავალს ადგილობრივ ბიუჯეტისათვის უნდა შეადგენდეს არა გადასახადის ხასიათის შემოსავალი, ე. ი. მამულების, სახლების და წარმოებათა შემოსავალი. დღეს სახელმწიფო ქონება და აგრეთვე ქონება ადგილობრივ სამაზრო აღმასკომისა გაბნეულია მაზრის ტერიტორიაზე. აქ სახელმწიფოს აქვს მცირედი ზომის მიწები, პატარ პატარა წარმოებანი, რომელთა გამგეობა ცენტრიდან შეუძლებელია ან ითხოვს ისეთს ხარჯებს, რომ მათი დაფარვა ამ მამულებს და წარმოებათ არ შეუძლიათ, ან კიდევ რაიონის ფარგლებში შეიძლება იყოს ისეთი საშემოსავლო წყარო, რომლის არსებობა ცენტრმა შეიძლება არც იცოდეს. ამიტომ შემოსავლის ეს წყაროები სრულიად გამოუყენებლად რჩება, რაიც ყოვლად დაუშვებელია.

რაიონის ბიუჯეტს კი მისი მიზანშეწონილად გამოყენება შეუძლია, ამ ზომის გასატარებლად კი საჭირო იქნება წინასწარი შეთანხმება უმაღლეს სამეურნეო საბჭოსი, მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა კომისარიატების ამ საკითხში, თუ რა მიწები და წარმოებები უნდა გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტს—რაიონს. ეს დანაწილება შექმნის მამულების და წარმოებათა უკეთეს გამოყენების და შემოსავლის უფრო მიზანშეწონილად მოხმარების შესაძლებლობას.

მესამე წყარო რაიონის ბიუჯეტისა არის სარაიონო გადასახადები და ბეგრები.

იმავე საკავშირო საბჭოს მიერ მიღებული კანონით რაიონის ბიუჯეტს უნდა მიეცეს გადასახადები: სატრაქტირო, ტვირთზიდვის რეწვაზე, გასაყიდათ მორეკილ საქონელზე, საზოგადო სასწორით სარგებლობაზე და სხვა წვრილმანი გადასახადები. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს რაიონის ბიუჯეტის ფარგლებს, აღნიშნავს კანონის გარეშე გადასახადების შემოღების შესაძლებლობას ცენტრალური მთავრობის ნებართვით და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

მაგრამ რაიონის მოთხოვნილებანი, რომელნიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნორმალურად არ დაკმაყოფილებულან, იმდენად დიდია, რომ აღნიშნული საშემოსავლო წყაროები მათ ვერ დააკმაყოფილებენ და რაიონი იძულებული იქნება მიმართოს სხვა ადგილობრივ გადასახადს. ამ გარემოებასაც ანგარიში გაუწია საკავშირო საბჭოს მესამე სესიამ და დააკანონა ეგრედ წოდებულ სარაიონო ანუ სავოლონტერო გადასახადი, რომლის შემოღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ რაიონის ბიუჯეტი დეფიციტიანია და ამ დეფიციტის დაფარვა სხვა წყაროებიდან შეუძლებელია. ამავე დროს სარაიონო გადასახადის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს რაიონის ბიუჯეტის დეფიციტს. სარაიონო გადასახადის შემოღება უნდა მოხდეს ცენტრალური მთავრობის ნებართვით. მაშასადამე სარაიონო გადასახადის შემოღება შეზღუდულია მრავალგვარი პირობებით: 1) უნდა შესდგეს ბიუჯეტი, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს დეფიციტის რაოდენობა, 2) ეს ბიუჯეტი უნდა დამტკიცებულ იქნას ყველა ინსტანციებში და 3) ამის შემდეგ კიდევ შუამდგომლობა სარაიონო გადასახადის შემოღების შესახებ.

დასავლეთ ევროპის პრაქტიკამ იცის შემდეგი მიზნობრივი გადასახადები წვრილ ადმინისტრატიულ ტერიტორიალურ ერთეულებს სასარგებლოდ: ხიდის ასაგებათ, გზების და ქუჩების გასაყვანად ან შესაკეთებლად, კანალიზაციის გასაყვანად, ადმინისტრატიულ ან სასამართლოს დაწესებულებით სარგებლობისათვის ბაჟი, საქონლის დაკვლაზე, გადასახადი საქონლის ვეტერინალურ გასინჯვაზე, [illegible], საწონით, ბორნებით სარგებლობაზე, ხიდზე ურმების და ეტლების გავლაზე, ქუჩების დასუფთავებისათვის, მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში ჩაწერისათვის, სასაფლაოზე გადასახადი და სხვა.

აქ მოყვანილი სია, ვფიქრობთ, სრული არ არის, მაგრამ მაინც მათი დაწესება შემოსავლის თვალსაჩინო წყაროს შეადგენს.

აქ აღნიშნულ გადასახადებიდან და ბეგრებიდან დღევანდელს პირობებში ადვილი განსახორციელებელია: სასამართლოს ბაჟები, მოქ. მდგომარეობის აქტებში ჩაწერისა, მოწმობების და ცნობების გაწერაზე საკანცელარიო ბაჟი, საქონლის გასინჯვაზე, გასართობ ადგილებზე გადასახადი და სხვა. უნდა [illegible] აგრეთვე მიზნობრივი გადასახადების ნებართვის მიცემა—სკოლების და სავადმყოფოების შესაკეთებლად, ხიდების და გზების გასაყვანად. გადასახადი გზების შესაკეთებლად აგრეთვე უნდა დაკანონდეს, რადგან რამდენიმე წლის განმავლობაში შეუკეთებელი გზები, სრულიად განადგურდნენ და გაფუჭდნენ და მათ შესაკეთებლად ჯერ-ჯერობით სხვა საშუალება არა გვაქვს.

გ. ხა—ძე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

გერმანიას გამოეცხადა სავაჭრო ბოიკოტი

ძალაში შევიდა ჩვენი სავაჭრო ხელშეკრულება შვეციასთან

უნგრეთის, სამხრეთ-სლავიის და იაპონიის მთავრობები ცდილობენ ჩვენთან დაახლოვებას.

უნგრეთი.

ვენა. 15 მაისი. უნგრეთსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით უნგრეთის მთავრობამ ამოშალა დიპლომატიურ კორპუსის სიიდან რუსეთის ყოფილ მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთა გვარები.

პოლონეთი.

ვარშავა. 15 მაისი. ჩიჩერინის ნოტას პოლონეთის ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის შესახებ პოლონეთის ბურჟუაზიული პრესა სთვლის შინაურ საქმეებში ჩარევათ. მემარჯვენე პრესა მოითხოვს მკაცრი პასუხის გაცემას. გაზეთი „რობოტნიკ"-ი (პოლონელ მენშევიკების ორგანო) ეკითხება მთავრობას: როდის მოვა იგი გონზე და შეიგნებს, რომ ყველაფერზე უფრო საჭირო ჩიჩერინისათვის იქნება მთავრობის გონიერი პოლიტიკა განაპირა ქვეყნებში.

იტალია.

იტალიის სამძიმარი ამხ. ვოროვსკის მკვლელობის ერთი წლის თავზე.

რომი. 15 მაისი. ამხ. ვოროვსკის მკვლელობის დღიდან ერთი წლის შესრულების გამო იტალიის მთავრობამ გულწრფელი სამძიმარი შეუთვალა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ წარმომადგენელს.

რომი. 15 მაისი. იტალიის სახალხო მეურნეობის სამინისტრო ურჩევს იტალიის სავაჭრო და სამრეწველო ფირმებს განსაზღვრონ თავისი ოპერაციები საბჭოთა კავშირთან შავი ზღვის ფარგლებით, რადგან ამ რაიონში მათი ინტერესების დაცვა უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე სხვაგან

იაპონია.

ტოკიო 15 მაისი ტოკიოს პრესა იუწყება, რომ იაპონიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს იაპონიასა და საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობის მოსაგვარებლად.

მოსკოვი. 17 მაისი. ამხ. რიკოვმა მიიღო იაპონიის შრომის საყოველთაო ფედერაციის მე 13 ყრილობის რეზოლუცია, რომელშიაც ყრილობა გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო, აგრეთვე, იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გულწრფელმა ცდამ მიწისძვრით დაზარალებულ იაპონიის მუშათა დახმარებისათვის ვერ გამოიღო ნაყოფი. ეს დანაშაული ყრილობის აზრით მიუძღვის მხოლოდ იაპონიის რეაქციონურ-მილიტარისტულ მთავრობას

ჩინეთი

მოსკოვი. 17 მაისი. ამხ. ყარახანმა მიიღო შანხაიში შეკრებილ მუშათა ორგანიზაციებისაგან სამძიმარი ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო. დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყნის მილიტარისტულ მთავრობის ტირანიამ ყველ ზომას გადააჭარბა. მუშათა აღზრდის საქმე [illegible] იყოფება. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანები და ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი სარგებლობენ მუშათა მოძრაობით პირადი მიზნების მისაღწევათ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირი ერთგულად შეასრულებს ლენინის მოძღვრებას, რომელიც თანაგრძნობით ეპყრობოდა აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას, და უფრო განავითარებს ლენინის პრინციპებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირი დაამყარებს აღმოსავლეთთან უმჭიდროეს კავშირს".

მუშათა ორგანიზაციების რიცხვში ამ მოწოდებას ხელს აწერენ: „სრულიად ჩინეთის თავდაცვის სამრეწველო კავშირი" „აბრეშუმის და საფეიქრო მრეწველობის მუშა ქალთა კავშირი", მეზღვაურთა კავშირი, მუშათა თავდაცვის კავშირი და სხვა.

რუმინეთი.

ვენა 15 მაისი. ბესარაბიაში გააძლიერეს სამხედრო წესები. ოლქის მთავარსარდალს მიენიჭა დიქტატორის უფლებები. კიშინიოვში ჩამოსულ პირებს ჩხრეკენ

„უნივერსულ"-ი მოითხოვს, რომ საბჭოთა აგიტაციის გაძლიერების გამო სამოქალაქო მოხელეები შეცვლილი იქნენ სამხედრო პირებით.

საფრანგეთი

პარიზი. 16 მაისი. მილიუკოვის გაზეთი „უკანასკნელი ცნობები" მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას. რადიკალები, რომელთაც მეთაურობს ერიო, მოითხოვენ წინასწარ კონფერენციის მოწვევას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საფრანგეთ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება; ამ ხელშეკრულების დამტკიცებას თან მოჰყვება საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობაც.

გერმანია

მოსკოვი 17 მაისი. გერმანიასთან მომხდარ კონფლიქტის გამო მიმოსვლა ლენინგრადსა და ჰამბურგს შორის დროებით შეწყვეტილია. მორიგი გემი „კომსომოლეც"-ი ჰამბურგის მაგიერ ფინეთში გაემგზავრება.

სავაჭრო ბოიკოტი გერმანიას

ბერლინი 15 მაისი. ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ წინათ მიღებულ ზომების გატარების გარდა შეჩერებულია საბჭოთა ხორბლის გაყიდვა გერმანიაში. ხორბლით დატვირთულ საბჭოთა გემებს აეკრძალათ გერმანიის ნავსადგურებში შესვლა. სურსათი გერმანიაში აღარ იგზავნება, წინათ გაგზავნილი სურსათი კი გერმანიიდან სხვა სახელმწიფოებში იგზავნება.

გერმანიაში დაიხურა ცენტროსოიუზის ყველა განყოფილებები. რეზინის ტრესტის განყოფილება ბერლინში აღარ გაიხსნება.

საბჭოთა წარმომადგენლობა ღია არის მხოლოდ ერთი საათით. როცა სწარმოებს მოლაპარაკება გერმანელ ფირმების წარმომადგენლებთან ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ. გაუქმებულ ხელშეკრულებებით უნდა შესრულებულიყო 8 მილიონ დოლარის დაკვეთა.

ინცინდენტის შემდეგ

გერმანული გაზეთების აზრი.

ბერლინი, 15 მაისი. მემარჯვენე პრესა მეტად უკმაყოფილოა მთავრობის მიერ რუსეთ-გერმანიის კონფლიქტში დაჭერილი პოზიციით. მემარჯვენე გაზეთები უსაყვედურებენ მთავრობას ბეისის დათხოვნას (ბეისი საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმას მეთაურობდა), რადგან ამაში ხედავენ კაპიტულაციას მოსკოვის წინაშე.

„ლოკალ ანცაიგერ" სთვლის, რომ ბეისის დათხოვნა გამოძიების დამთავრებამდე ნიშნავს გერმანიის მთავრობის მიერ მოხელეების გაცემას მოსკოვისათვის, რაც გაზეთის აზრით „ამჟამინდელ გერმანიას არ შეეფერება".

ასეთივე აზრის არიან „კრეის ცეიტუნგ" და „დოიჩე ტაგეს ცაიტუნგ". მთავრობის პრესა იძლევა მხოლოდ მოკლე ცნობას ბეისის „შვებულებაში" გაშვების შესახებ. მთავრობის გაზეთებში მოყვანილია აგრეთვე ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებათა შესახებ.

„როტე ფანე" ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მთავრობა არავის მისცემს უფლებას მოიქცეს მას ისე, როგორც [illegible]. „როცა გერმანიაში ექნება საბჭოთა მთავრობა,—სწერს გაზეთი,—[illegible] როგორი ზრდილობა არის საჭირო მთავრობაში".

ხელშეკრულება შვეციასთან

მოსკოვი. 17 მაისი. 10 მაისს სტოკჰოლმში მოხდა შვეციასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული და დამტკიცებული სავაჭრო ხელშეკრულებების გაცვლა-გამოცვლა.

სავაჭრო ხელშეკრულება შევიდა ძალაში. დაუყოვნებლივ იქნება აღდგენილი ფოსტა-ტელეგრაფის რეგულარული კავშირი. შეთანხმების ტექსტს დართული აქვს დეკლარაციები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ორივე მხარეები იტოვებენ თავის პრეტენზიებს საკუთრების დაბრუნების შესახებ და აგრეთვე თავის მოქალაქეთა ქონებრივ პრეტენზიებს.

შეთანხმებას დართული აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავრობის დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ის იტოვებს საკუთრების უფლებას რუსეთის ყოფილ სამხედრო და სავაჭრო ფლოტის გემებზე და აგრეთვე განცხადება შვეციის მთავრობისათვის, მისი თხოვნის თანახმად, ლენინგრადში შვეციის მისიის ყოფილი ბინის გადაცემის შესახებ.

საფრანგეთის არჩევნების გამოძახილი

არჩევნებმა დაალონა რუმინეთის მთავრობა

არჩევნების შედეგებმა ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის მთავრობაზე

მოელიან რუმინეთის მთავრობის გადადგომას

რუმინეთი

ვენა. 15 მაისი. საფრანგეთის არჩევნების შედეგებმა რუმინეთის მთავრობის წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობის პრესა ცდილობს შეასუსტოს შთაბეჭდილება, მაგრამ ვერ ახერხებს რუმინეთის იზოლაციის დაფარვას.

მთავრობის ორგანო „ვიტორულ" აცხადებს, რომ ბესარაბიის კონფლიქტმა დაამტკიცა [illegible] და რუმინეთის კავშირის უნაყოფობა, კაპიტალისტური პრესა აღიარებს, რომ უშედეგოა მეფის გამგზავრება საზღვარ-გარეთ და დუკას მოლაპარაკება მაკდონალდთან.

არჩევნებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ ოპოზიციონური პარტიები, რომლებიც მოელიან ბრატიანუს დაუყოვნებლივ დაცემას. ოპოზიციონური პარტიები ცდილობენ შექმნან ბლოკი და მეფის დაბრუნების შემდეგ წარუდგინონ მოთხოვნილება ბრატიანუს გადაყენების და კოალიციონური კაბინეტის შედგენის შესახებ. ამავე დროს ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებას ნაციონალურ უმცირესობებთან.

სამხრეთ სლავია

ვენა. 15 მაისი. პუანკარეს დამარცხებამ მთავრობის წრეებში დიდი უიმედობა გამოიწვია. მცირე

პრესა

ფულის რეფორმა გაიმარჯვებს

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ტარდება დღეს ფინანსიური რეფორმა, ფულის რეფორმა. მისი მიზანია მერყევი ფულის ნიშნების მაგიერ სამეურნეო ცხოვრებაში განმტკიცდეს მყარი ვალიუტის ფული. აუცილებელი პირობა ამის მისაღწევად არის სახელმწიფო ხარჯების დაფარვა სახელმწიფოსავე შემოსავლით და არა ფულის ემისიით, ბეჭდვით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინეთ. ამნაირათ შემოსავლის ახალი წყაროების გაჩენა, ძველი წყაროების მაქსიმალურათ ამოწურვა, ერთი სიტყვით სახელმწიფო შემოსავლის გადიდება—აი რა არის უმთავრესი პირობა ფულის რეფორმის გამარჯვებისა. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა საბჭოთა კავშირში? ამ საკითხზე იძლევა პასუხს ამხ. სარაბიანოვი მოსკოვის „პრავდა"-ში ის სწერს:

„ნახევარი წლის განმავლობაში (ავტორს სახეში აქვს საბიუჯეტო წელი, ე. ი. წარსული წლის პირველ ოქტომბრიდან დაწყებული. რედ.) შემოსავალი უდრის წინათ ნავარაუდევის 94 პროცენტს. და ამასთან ეს ცნობა არ არის სრული. უფრო მართალი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს შემოსავალი უდრის 97—98 პროცენტს. ის ფაქტი, რომ ასე დაუახლოვდით საბიუჯეტო ვარაუდის განხორციელებას, საბუთს გვაძლევს ვთქვათ: 1923—24 წლის მეორე ნახევარში განზრახული შემოსავალი ხელთ გვექნება".

ამ დასკვნამდი მიდის ავტორი ყოველთვიური საშემოსავლო თანხების რაოდენობის გარჩევით, საიდანაც სჩანს, რომ დაწყებული ოქტომბრიდან (საბიუჯეტო წლის დასაწყისი) ამ წლის მარტამდე, ე. ი. საბიუჯეტო ნახევარი წლის განმავლობაში შემოსავალი (სასოფლო სამეურნეო გადასახადს გარდა) თანდათან იზრდებოდა. მაგრამ ექნება თუ არა ადგილი მომავალშიაც ასეთ ზრდას? ამ საკითხზე ავტორი უპასუხებს დადებითად.

„ჩვენ ვიძლევით—სწერს ამხ. სარაბიანოვი—დადებითი პასუხს შემდეგი ორი მოსაზრების გამო: პირველი—აპარატის გაძლიერებასთან ერთად გაიზრდება გადამხდელთა რიცხვი. დღემდე ისინი არ ყოფილან საკმაოთ გამოძებნილი გარდა ამისა აღმოჩენილ იქნება შემოსავლის ახალი წყაროები. მეორე—მრეწველობა, სავაჭრო ოპერაციები და ტრანსპორტის მუშაობა გაიზრდება.

მთელი რიგი სამრეწველო დარგების ალნუსხვით, სადაც მიღწეულ იქნა უკანასკნელ ხანებში საგრძნობი წარმატება, ავტორი ამტკიცებს თავის აზრს სახელმწიფო შემოსავლის გადიდების შესახებ. რამდენადაც გამართლდება ეს მოლოდინი—ხოლო ახლო წარსულის ფაქტები ადასტურებენ ამას,—იმდენათ გამარჯვებით დამთავრდება დაწყებული ფულის რეფორმაც.

„სპეცების" საკითხი

ჩვენ ყოველდღიურ მუშაობაში „სპეცები" გვესაჭიროება, ამაზე დავას არავინ მართავს. მაგრამ აქ ერთნაირ მავნე „გადახრას" აქვს ადგილი და სრულიად სამართლიანათ აქცევს ამაზე ჩვენს ყურადღებას იგივე „პრავდა". საქმე იმაშია, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ ძველი სპეცების ადგილას წინ წამოვაყენოთ სპეცი—კომუნისტები.

„... ჩვენ აპარატებში თანდათან გამეფდა სრულიად საფუძვლიანი შიში იმის შესახებ, რომ სახიფათოა ჩავაბაროთ ძველი სპეცის რომელიმე საქმე ახალ მუშაკს, რომელსაც არა აქვს ისეთი გამოცდილება, როგორც ძველს. ამნაირათ მოწამე ვხდებით ძალიან ცუდი მოვლენის. ძალაუნებურათ ამ ძველი სპეცის ირგვლივ აღმართული ხდება ჩვენი ამხანაგებისათვის გარდაუვალი კედელი. უმეტეს შემთხვევაში, თუ თვითონ სპეცი არ „ჩავარდა", ჩვენი ამხანაგი კიდევაც რომ შეეძლოს ზედმიწევნით მისი საქმის კეთება, ამ ადგილს მაინც ვერ დაიკავებს. სპეცი გამაგრებულია ამნაირათ თავის ადგილზე, ვერავინ ვერ ბედავს მის ხელის ხლებას და მის ადგილას ახალი ამხანაგის დაყენებას. ამნაირათ „რისკის" შიში უზრუნველყოფს ძველ სპეცს!

ავტორი სამართლიანათ ფიქრობს, რომ ჩვენ იმ დროს კი არ უნდა ვუცადოთ როცა კომუნისტი მუშაკი თვითონ წაიწევს წინ „თავისუფალი კონკურენციის" შემდეგ, არამედ ჩვენ თვითონ უნდა წავიყვანოთ ის საპასუხისმგებლო ადგილზე. „ეს არ უნდა დაავიწყდეს ჩვენ პარტორგანიზაციებს და ხელმძღვანელ პარტიულ ამხანაგებს საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში".

ანტანტის ყველა სახელმწიფოების პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა უცვლელად დარჩება; მეფე ალექსანდრე კი თავს დაანებებს პარიზში გამგზავრებას.

ჩეხო-სლოვაკია

ვენა. 15 მაისი. მოელიან ხალხთა კავშირის მიმართ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის პოზიციის შეცვლას იმის შიშით, რომ საფრანგეთმა არ დაასწროს მან.

იტალია

რომი. 15 მაისი. საფრანგეთის არჩევნების წინ ფაშისტური პრესა ამტკიცებდა პუანკარეს გამარჯვების აუცილებლობას. ეხლა კი ის ცდილობს დაჩრდილოს მემარცხენე ბლოკის გამარჯვების მნიშვნელობა. იტალიის ფაშისტებს, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ რურის ოკუპაციით და მოითხოვდნენ სარეპარაციო გადასახადების და მოკავშირეთა ვალების გაუქმებას, სრულიადაც არ სურთ ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა; მათ ეშინიათ იმის, რომ შეიძლება ამან გამოიწვიოს იტალიის და იმ სახელმწიფოების საზღვრების საკითხის ხელახლა გადასინჯვა, რომლებიც დაარსდნენ ავსტრო-უნგრეთის ყოფილ მონარქიისაგან.

პოლონეთი.

ვარშავა 15 მაისი. საფრანგეთის არჩევნების შედეგებმა სამწუხარო შთაბეჭდილება მოახდინა მემარჯვენეებზე.

ყველა, თვით პოლონეთის სოციალისტური პარტიაც, გაფაციცებით მოელის ცვლილებას საფრანგეთის პოლიტიკაში. სეიმის წრეების მღელვარება გამოიწვია აგრეთვე ცნობამ პროტესტის შესახებ პოლონეთში გამეფებული თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც ხელს აწერენ ერიო და პენლევე.

ხმების მიხედვით პოლონეთის ელჩი პარიზში ხლაპოვსკი გამოწვეული იქნება, ხოლო ზამოისკი გადადგება. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნული იქნება სკრჟინსკი.

ვარშავა. 15 მაისი. [illegible] გაზეთის „ფოლკსციტუნგ"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს, პოლონეთის სოციალისტური პარტიის სენატორმა (გვარი დამახინჯებულია) განაცხადა, რომ საფრანგეთში მემარცხენე ბლოკის გამარჯვების მიზეზები უნდა ვეძიოთ გერმანიაში. საფრანგეთ გერმანიის დამოკიდებულება ძირიანად შეცვლილი იქნება, და საბჭოთა მთავრობას, ალბათ, იცნობს საფრანგეთი. ახალი საფრანგეთი კრიტიკულ პოზიციას დაიჭერს პოლონეთის [illegible] მთავრობის მიმართ.

ლონდონის კონფერენცია

ლონდონი. 15 მაისი. ინგლისის პრესას უკომენტარიოთ მოჰყავს ცნობა ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენციის სხდომის შესახებ ამ სხდომაზე მიღწეული საბოლოო შეთანხმება რუსეთ-ინგლისის და უცხოეთის პოლიტიკურ ხელშეკრულებათა სიის შესახებ. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სიაში შეტანილია ეხლა კონფერენციების და საერთაშორისო კონგრესების დადგენილებები, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა კავშირს და ინგლისს.

საქმიანი წრეები კმაყოფილი არიან მით, რომ საბჭოთა დელეგაციამ დაჟინებით მოითხოვა 1921 წლის შეთანხმების შესრულება და წარადგინა წინადადება წვრილი პრეტენზიების პირველ რიგში განხილვის შესახებ.

პრესა ამბობს, რადგანაც ხედავს, რომ საბჭოთა დელეგაცია ამ შემთხვევაში იცავდა მცირე შეძლების მქონეებს და მას არ სურდა ისინი გაერია მსხვილ კრედიტორებში.

ბრიტანეთის დელეგაცია სერიოზულ ყურადღებით მოუდგა საბჭოთა კონტრ-პრეტენზიებს, რაც იქიდან ჩანს, მან მოითხოვა მათი გადაცემა საარბიტრაჟო სასამართლოსათვის და სამხედრო ვალების განხილვა საბჭოთა კონტრ-პრეტენზიებთან ერთად.

მახლობელ სხდომებზე საბჭოთა დელეგაცია წინადადებებს წარადგენს ამ ფულების შესახებ.

მდგომარეობა ინგლისში

ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი თემთა პალატაში.

ლონდონი. 17 მაისი. დღეს თემთა პალატაში წარმოდგენილ [illegible] ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხის გარჩევა. მუშათა პარტიის წევრმა გრლლემ წინადადება შეიტანა მეკვლავი ყოველიყო მეორეთ კანონპროექტი ამ საკითხის შესახებ. კანონპროექტის პრინციპები მოწონებული იქნა მთავრობის მიერ, მაგრამ მის წინააღმდეგ გაილაშქრეს ლიბერალებმა და კონსერვატორებმა; კანონპროექტი უარყოფილი იქნა 264 ხმის უმრავლესობით 169 წინააღმდეგ. გრლემ განაცხადა, რომ ნახშირის მრეწველობის ნაციონალიზაცია—ეს ინგლისის მაღაროელების მოთხოვნილებაა ამ ლონდონის ხმებით(?) სასარგებლოო მუშათა პარტია აპირებს პროპაგანდას აწარმოებდეს ინგლისში და მუშათა პარტიის თვითეული წევრი, რომელიც არჩეული იქნა თემთა პალატაში, პირდაპირ თავის ამომრჩევლებს, რომ ის მხარს დაუჭერდა კანონს მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ ინიცირა ხაზშირის მეფეთა, მნიშვნელობა გრლემ განაცხადა, რომ მუშების რიცხვი ამ მრეწველობაში უდრის 1 200,000 კ. ს, ოჯახის წევრებით 5 ერთად მუშების რიცხვი აღწევს 5 მლ. კ. ს. და მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ მრეწველობის მდგომარეობისაგან. ნახშირის ამოღება უკანასკნელი წლის განმავლობაში უდრიდა 279 მილ. ტონს. როგორც აღნიშნული იყო, კანონპროექტი უარყოფილი იქნა.

საკითხი მაღაროელების სამუშაო ხელფასის შესახებ.

ლონდონი 15 მაისი. მაღაროელების ფედერაციის აღმასკომმა წინადადება მისცა სამეთაურო კონფერენციას დაადასტუროს წარმომადგენლების წინადადებაზე და შეიმუშაოს საბოლოო ზომები სამუშაო ხელფასის 17 პროცენტ-დან 15 დღ. ამასთან ერთად ნაშთი, რომელიც რჩება სამუშაო ხელფასიდან მოგებას და სა წარმოო ხარჯების გამოკლებით, 5 წლის განმავლობაში ამოიღებოდა; 88 პროც.—სამუშაო ხელფასისათვის და 12 პროცენტის მოგებისათვის დღემდე კი იყო 83 პროც. სამუშაო ხელფასისათვის და 17 პროც. მოგებისათვის. სამუშაო სამუშაო ხელფასის მინიმალური მომატება შეადგენს მის ერთ მესამედს.

ფედერაციის ბიურომ ასევე განაცხადა, რომ საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ გადაჭრილი იქნება მხოლოდ მაღაროელების ხელმძღვანელობით გაერთიანებისა ან მათი ნაციონალიზაციის შემთხვევაში.

წყ ლის ნაკლ.

ლონდონი 15 მაისი თემთა პალატამ უარყო მაღაროების ნაციონალიზაციის კანონ-პროექტის მეორეთ წაკითხვა.

რა ხდება გერმანიაში

განხეთქილება მთავრობის პარტიებს შორის.

ბერლინი. 15 მაისი. სახალხო პარტიის ფრაქციამ არ მიიღო წინადადება ცენტრის პარტიასთან ბლოკის შექმნის შესახებ და წინადადება მისცა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებიც დგანან „სახელმწიფოებრივ პლატფორმაზე", გაერთიანდნენ და შეუდგნენ კოალიციაში ნაციონალისტებთან. დემოკრატებში და ცენტრის პარტიაში სასოწარკვეთილება გამოიწვია სახალხო პარტიის დადგენილებამ.

გერმანიის ნაციონალისტები მთავრობის პარტიებში შექმნილ განხეთქილებას იყენებენ მარქსის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. მემარჯვენე პრესის ცნობით, ნაციონალისტების ბელადი თვითონ მოითხოვს მთავრობის გადადგომას და ახალი მთავრობის შედგენამდე ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას ექსპერტთა კომისიის მოხსენების შესახებ. მთავრობის პრესამ ამ მოთხოვნილებებზე უარი განაცხადა და მოითხოვა ნაციონალისტებისაგან საგარეო პოლიტიკის პროგრამის გამოქვეყნება; პრესა ამას უკავშირებს მთავრობის შეცვლის საკითხის გადაჭრასაც.

ჩვეულებრივი მოვლენა.

ბერლინი. 15 მაისი. ძველი ცნობილი საფაბრიკო და საბანკო ფირმების მასიურმა გაკოტრებამ გერმანიაში ყოველდღიური მოვლენის ხასიათი მიიღო. ადგილი აქვს ბანკირების თვითმკვლელობის შემთხვევებს.

მრეწველობის მრავალ დარგებში, კერძოდ საფეიქრო და ტყავეულობის მრეწველობაში ადგილი აქვს მწვავე კრიზისს; არ მოიპოვება საშუალებები წარმოების შესანახად.

ტერორი პოლონეთში

ახალი სისხლიანი [illegible].

ხარკოვი. 15 მაისი. გალიციიდან ჩამოსული ლტოლვილები იტყობინებიან, რომ პოლონეთის ადმინისტრაციამ ნაწილში დაიწყო ტერორის ახალი ხანა. ბელორუსიაში, ვოლინში და გალიციაში განუწყვეტლივ [illegible] ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს.

პოლონეთის „ოხრანკა" განსაკუთრებით ხელს უწყობს ანტისემიტურ მოძრაობის გაძლიერებას. ასე მაგალითად, ვილნოს პოლიციამ შეთხზა თავისებური „ბეილისის საქმე". სოფ. მისტრეცში დააპატიმრეს 70 წლის მოხუცი—ებრაელი, რომელსაც ბრალი დაედო 4 წლის ბავშვის მოტაცება რიტუალური მიზნით, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ბავშვი გამოჩნდა.

პოლონეთის ხელისუფლებამ ვილნოში მოაწყო უკრაინელების დიდი პროცესი, რომელთაც ბრალად ედებათ ჯაშუშობა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ. დატუსაღებულ ვილნელთა დიდი პარტია გაიგზავნა ვარშავაში, სადაც 75 კაცი ამათგან მისცეს სამხედრო სასამართლოში.

კოველის მაზრაში მეტად დიდი გადასახადების ნიადაგზე ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარებას. გლეხების ბრბო შეიჭრა ქალაქში; პოლიციასა და გლეხებს შორის მოხდა ნამდვილი ბრძოლა; ორივე მხრიდან მოკლულია და დაჭრილი მრავალი.

კრაკოვის მაზრაში დაიწყო პოლონეთის ცნობილ მაგნატების მამულებში მოსამსახურე ბატრაკების გაფიცვა. გაფიცვამ მოიცვა მრავალი რაიონები.

სხვადასხვა ამბები

● **აჯანყება სირიაში.** ბრძოლა ფრანგებსა და აჯანყებულებს შორის სირიაში გრძელდება. ფრანგებმა უკანასკნელ ბრძოლაში დაჰკარგეს 400 კაცი. მთელს სირიაში ისმის ყვირილი: „ძირს ფრანგები". აჯანყებამ ნამდვილი ომის ხასიათი მიიღო. [illegible] ფრანგების [illegible] აჯანყებულებმა [illegible] ჯავშნიანი მატარებელი წაართვეს.

● **გაფიცვა პორტუგალიაში.** ლისაბონში გაიფიცნენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეები.

● **დიდი გაფიცვა [illegible].** [illegible] გაიფიცა 140,000 მუშა.

● **დამოუკიდებლობის მოთხოვნა.** საოკუპაციო პარლამენტმა [illegible] თვითმართველობის [illegible] ჯარებისათვის.

● **[illegible].** რუმინეთის მთავრობამ გადასცა ბულგარეთის მთავრობას [illegible] ბულგარეთის აჯანყებაში მონაწილეობის [illegible].

● **არჩევნების შემდეგ.** იაპონიის მთელი პრესა მოითხოვს იაპონიის ახალი მთავრობის გადადგომას. მოელიან, რომ თუ მთავრობა თავისით არ გადადგა, გაძლიერდება მოძრაობა.

● **[illegible] ძალთა ბრძოლა საბერძნეთში.** საბერძნეთში ძალთა ბრძოლა ძალაუფლებისათვის გრძელდება. სოციალისტური პარტია მოითხოვს რესპუბლიკური წესწყობილების დამყარებას.

● **სამოქალაქო ომის მოლოდინში.** [illegible] რომელშიაც [illegible] ამზადებს [illegible].

● **იაპონელების განდევნა ამერიკიდან.** შეერთებულ შტატების კონგრესმა, მიუხედავად პრეზიდენტ კულიჯის პროტესტისა, კვლავ დაადასტურა კანონი ემიგრაციის შესახებ. იაპონელების განდევნა ამერიკიდან დაიწყება პირველ ივლისს.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

უმუშევართა კოლექტივები.

მოსკოვი. 17 მაისი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა ადგილებს მისწერა ცირკულარი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სასურველია დაარსდეს უმუშევართა კოლექტივები, რომლებმაც უნდა მოაწყონ ლიტერატურის გასაღება. სახელმწიფო გამომცემლობა ამ კოლექტივებს მისცემს 25 პროც. შეღავათს. საშუალებები კოლექტივების მოსაწყობად სესხის სახით უნდა გაიღოს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

სრულიად რუსეთის პირველი საგზაო კონფერენცია

მოსკოვი 17 მაისი. 15 მაისს გაიხსნა სრულიად რუსეთის 1 კონფერენცია. კონფერენციაზე წამოყენებული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ მოსახლეობა ჩაბმული იქნეს გზატკეცილების მოწყობის საქმეში; ამ საქმის მოგვარება შეიძლება მოსახლეობის ნებაყოფლობითი რაზმების მოწყობის საშუალებით.

ლენინის სახელობის ესკადრილია.

მოსკოვი, 17 მაისი. 25 მაისს ამხ. ტროცკის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება რუსეთის კომპარტიის მე—13 ყრილობას გადასცემს ლენინის სახელობის ახალ სამხედრო ესკადრილიას, რომელიც შესდგება 19 თვითმფრინავი აპარატისაგან. აპარატებს ეწოდებათ იმ ორგანიზაციების სახელი, რომელთაც შეაგროვეს ფული მათ ასაგებათ.

ბერლინის კლინიკებს არ ჩამოუვარდება.

მოსკოვი. 17 მაისი. საბჭოთა გინეკოლოგიურ ყრილობაზე დასასწრებლად მოსკოვში ჩამოსულმა ბერლინის ცნობილმა გინეკოლოგმა ლიპმანმა ამხ. სემაშკოსთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოსკოვის კლინიკები ექიმების შემადგენლობის და მოწყობილობის მხრივ არ ჩამოუვარდება ბერლინის კლინიკებს. ბავშვობისა და დედობის დაცვის საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებაში საბჭოთა რესპუბლიკამ ბევრი რამ ახალი შეიტანა, რასაც უნდა მიბაძონ სხვა ქვეყნებმა.

ბაქოს ბაზრობისათვის

მოსკოვი. 17 მაისი. სატარიფო კომიტეტმა დაამტკიცა შეღავათიანი ტარიფი ბაქოს ბაზრობაზე გასაგზავნ საქონლის გადაზიდვისათვის. რკინის, ფოლადის, თუჯის და [illegible] ნაწარმოებისათვის და შუშის ჭურჭლეულობისათვის დაწესებულია 30 პროც. შეღავათი ქაღალდისათვის—25 პროც. [illegible], ტომრებისა, ფურცლოვანი რკინეულობისა, სასოფლო სამეურნეო მანქანებისა და ლითონის იარაღებისათვის—20 პროც. და სხვა ტვირთებისათვის—15 პროც. უცხო ტვირთებისათვის 10 პროც. ბაზრობაზე გაუყიდავ საქონლისათვის, რომელიც ბაქოდან გაიგზავნება შინაურ ბაზრებზე 10 პროც.

პარტიული ცხოვრება

ქალთა განყოფილებების გამგეების ა.-კ. თათბირი

საზეიმო სხდომა

ოთხშაბათს, 14 მაისს, საღამოს 7 საათზე, ქართული დივიზიის კლუბის შენობაში შესდგა ქალთა განყოფილებების გამგეების ამიერ-კავკასიის მეოთხე თათბირის სხდომა, ქალ. თბილისის დელეგატ მუშა ქალებსა და დიასახლისებთან ერთად.

სხდომას დაესწრო 1000 მეტი ქალი.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. კადაიშვილმა, რომელმაც კრებას მიმართა მოკლე მისასალმებელი სიტყვით. მისი წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივს სცემს ილიჩის ხსოვნას.

— მე აქ გადმოგცემთ თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების სახელით,—სთქვა ამხ. კადაიშვილმა,—რომ ყველა ის ამოცანები, რომლითაც წამოაყენებს ქალთა განყოფილების გამგეების ამიერ-კავკასიის თათბირი, შესრულებული იქნება ჩვენ მიერ.

აზერბაიჯანის ქალთა განყოფილების გამგემ თათბირს გადასცა [illegible] სალამი. შემდეგ მისასალმებელი სიტყვით წარმოსთქვეს სომხეთის, აჭარის, სოხუმის, ქალ. თბილისის მრეწველ ქალების, რკინისგზელ ქალების, ქ. ბაქოს მუშა ქალების, „ალი ბაირამოვის" სახელობის ბაქოს მუშა ქალთა კლუბის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კრებამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მესამე ყრილობას:

„ქალ. თბილისის დელეგატ ქალების და ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილებების გამგეების მეოთხე თათბირის გაერთიანებული კრება თავის ამხანაგურ სალამს უგზავნის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მესამე ყრილობას და უსურვებს მას, რომ ყრილობამ საფუძვლიანად განახორციელოს ჩვენი მშრომელი [illegible] და განამტკიცოს ჩვენი პარტიის და მთელი მსოფლიოს მშრომელების სიძლიერე და ნებისყოფა, რომელსაც ისინი მიჰყავს ბრძოლისაკენ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირის შესაქმნელათ. გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიას! გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიების ბელადებს და ხელმძღვანელებს!"

ერთერთ დელეგატ ქალის წინადადებით თათბირი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის ამხ. კრუპსკაიას და მარია ილინიჩნა ულიანოვას.

შემდეგ ქალაქ თბილისის დელეგატი ქალები გამოვიდნენ თავისი მოგონებებით ქალთა განყოფილებების მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც გაიმართა კონცერტი.

16 მაისის დილის სხდომა.

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკური კომპარტიების ცეკას ქალთა განყოფილებების მუშაობის შესახებ ილაპარაკეს ამხ.ამხ. კრილოვამ, [illegible], გვახარიამ, ფერთანიანმა და სხვებმა.

ამხ. კრილოვამ აღნიშნა, რომ საბჭოების [illegible] ჩამორჩენილობის გამო ქალთა არტელებს არ შეუძლიათ მუშაობა და ამიტომ ქალთა განყოფილება იძულებულია თავის ყოველდღიურ მუშაობაში განიხილოს და ცხოვრებაში გაატაროს ოჯახური ყოფა-ცხოვრების საკითხები.

ამხ. გვახარიას განცხადებით [illegible] ქალთა განყოფილებების მუშაობის გეგმის შემუშავება. მისი აზრით მუშაობა უფრო სასარგებლო და მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მას თვითონ ადგილები შეიმუშავებენ, ცენტრმა მხოლოდ დირექტივები უნდა შეიტანოს ამ მუშაობაში.

პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობის, წრეების მოწყობის, დელეგატთა კრებების, საბჭოთა პარტიულ სკოლების და სხვადასხვა მუშაობის გეგმის და პროგრამის გამომუშავებლად, თათბირი ირჩევს კომისიას, რომელშიაც შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: იშკოვა, გოლუბევა, ალექსეევა, ფლორა ვართანიანი, ადამიძე, კრილოვა, მიქაძე, აზიზბეკოვა, კიდაიშვილი, ოვანესიანი, ტერ-ნიანი, გვახარია და [illegible].

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და რესპუბლიკურ ქალთა განყოფილებების მოხსენებების გამო თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს მათ პრაქტიკულ მოღვაწეობას და წინადადებას აძლევს მათ მომავალ მუშაობის დროს იხელმძღვანელონ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მესამე ყრილობის და ქალთა განყოფილებების გამგეების სრულიად საკავშირო თათბირის დადგენილებებით.

შემდეგ ექიმი მარკოზოვა მოხსენებას აკეთებს დედობისა და ბავშვობის დაცვის შესახებ.

ამხ. ტერ-აკოფიანი მოხსენებას აკეთებს [illegible] შესახებ; მომხსენებელი აღნიშნავს ქალთა განყოფილების ამოცანებს, რომლებიც გატარებული უნდა იქნეს ქალების უფლებების დაცვის სფეროში.

თათბირმა მიიღო ამიერ-კავკასიის ქალთა განყოფილების 1924 წლის მუშაობის გეგმა და ამხ. ამხ. [illegible] და ტერ-აკოფიანის მოხსენებების თეზისები, რის შემდეგაც თათბირი დაიხურა.

მუშკორების ბიუროს კრება

დღეს, გაზ. „რაბოჩაია პრავდის" რედაქციაში, დილის 11 საათზე შესდგება მუშკორების საქალაქო ბიუროს კრება პარტიული და საპროფესიო ორგანოების წარმომადგენელთა დასწრებით.

განიხილება საკითხი: მუშკორების მუშაობა და მათი დახმარება. კრებას დაესწრებიან ამხანაგები: გოლდბაუმი, [illegible] (ბეჭდ. სიტ. მუშაკთა სექციიდან) [illegible] მუშკორების ბიუროს შემდეგი წევრები: ამუგდიევი, ჟვენიერი, გოლკინი, ბაბუნაშვილი, კ ნ კინ, ოსკომ, ხაჩატუროვი, შიუკაშვილი, შაპოშნიკოვი ამათ გარდა მოწვეულნი არიან კუზმინა, სკორინსკი, უსულოვი, პეტროვი, მალაშხია.

მეპქ. ხიდქვის მუშაკთა ცენ. ბიურო
მუშკორთა ბიურო

ორშაბათს, ა/წ 19 მაისს, საღამოს 6 საათზე

თბილისის აღმასკომის შენობაში დანიშნულია თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების

მორიგი სხდომა

1) კომუნალური	აღმასკომის დარბაზში.
2) საფინანსო	საფინ. განყ. კანც. ოთახი № 17.
3) განათლების	განათლ. განყ. „ „ № 32.
4) სასოფლო-მეურნეო	სასოფ. მეურ. „ „ № 81.
5) ზაჰესკომის	ზაჰესკომის კანც.

დღის წესრიგი:

კომუნალური:	1) [illegible] მოხსენება. 2) მიმდინარე საკითხები
საფინანსო:	1) პრაქტიკული ნაბიჯები საფინანსო პოლიტიკაში
განათლების:	1) შრომ. სკოლ. მდგომარ. (მომხსენებელი [illegible]
სასოფლ. მეურნ.	1) მიწის მოწყობა მაზრაში. 2) მიმდინარე საკითხები.
ზაჰესკომის:	1) მიმდინარე პრაქტიკული საკითხები

სექციის ყველა წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა.

აღმასკომის სექციების ხელმძღვანელი—არ. რუხაძე.

1146—1—1

დიდი ჯიხაიშის კოოპერატივში

29 აპრილს შესდგა კოოპერატივის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრნენ წარმოკავშირის რწმუნებულის მოადგილე ამხ. ვ. დუმბაძე, სამტრედიის რაიონის (კავშირის) რწმუნებული ამხ. რუხაძე წარმოკავშირის ინსტრუქტორი ამხ. მ. [illegible]. კრების მუშაობის საგანს წარმოადგენდა ადგილობრივ მთლიანი კოოპერატივის მუშაობის გარჩევა და დამტკიცება. ინსტრუქტორმა ამხ. რუხაძემ გააკეთა მოხსენება ადგილობრივ „[illegible]" საბანკო [illegible] გახსნის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: ჯიხაიშში არსებობს სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობა და მეორე საკრედიტო ამხანაგობის გახსნა საჭირო არ არის—საქმე ჩაითვალოს წარმოკავშირის დაარსებული საკრედიტო ამხანაგობა[illegible].

პარტიული მუშაობა ზუგდიდის მაზრაში

(მარტი—აპრილი)

მარტის თვიდან ნაცვლად შვიდი პარტიული რაიონისა ზუგდიდის მაზრაში არსებობს ოთხი პარტრაიონი თუ ამ ქამდის პარტიულ დაყოფა სავსებით შეეფერებოდა ადმინისტრატიულ დაყოფას, მარტიდან მდგომარეობა შეიცვალა.

ორგანიზაციაში მაზრის მასშტაბით ირიცხება 446 წევრი და 12 კანდიდატი. თითოეულ პარტრაიონში შედის 6—7 დე კომუჯრედი. მაზრკომის ორგანიზაციული განყოფილება უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევს ზუგდიდის პარტრაიონს. უცვლელად არსებობს ხუთი სანიმუშო კომუჯრედი: 1. ნიქოზის, 2. კორცხელის, 3 ცაიშის 7 დარჩელის და 5 ხეთის. დარჩელის უჯრედს უშუალო კავშირი აქვს ცენტრალურ კომიტეტთან. სანიმუშო უჯრედებზე მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები. უჯრედებში მუშაობა მიმდინარეობს კარგად: სისტემატიურად იმართება როგორც ღია, ისე დახურულ კრებები. კვირაში ორჯერ სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა. საანგარიშო თვეში მოწვეული იქნა რაიკომების მდივნების თათბირი, სადაც დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა საკითხი უპარტიო გლეხთა კონფერენციის ჩატარების შესახებ. საღრიცხვო განყოფილება აწარმოებდა პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვა-განაწილებას და მათი პირადი საქმის შედგენას, აგრეთვე აწარმოებდა უმუშევარ წევრთა აღრიცხვას და მათი მაზანშეწონილი განაწილებას.

სამეურნეო საპროპაგანდო განყოფილებასთან, კულტურულ მუშაობის ამაღლების მიზნით დაარსებულია კოლეგია, უკანასკნელში შედიან სხვა და სხვა განყოფილებების გამგეები. საანგარიშო პერიოდში მაზრკომის პრეზიდიუმის სხდომა იყო ოთხჯერ პლენუმის სამჯერ, კოლეგიის სხდომა იყო ხუთჯერ. აქ ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას მიექცა მეტი ყურადღების მაქსიმუმი; ნაცვლად 80 ცალი გაზეთისა—ვრცელდება 850 ცალი. არსებობს 20 პირველი საფეხურის პოლიტ-წრე, ორი მეორე საფეხურის და ერთი მარქსისტული წრე. რამდენიმე პოლიტ წრე გადაქცეულია ლენინიზმის შემსწავლელ წრეებად.

საანგარიშო თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღესასწაული. უნდა აღინიშნოს ის, რომ დღესასწაული ჩატარდა ძალიან კარგად მთელი მაზრის მასშტაბით. ასამდე განცხადება იქნა შეტანილი ქალთა განყოფილებაში პარტიაში მიღების შესახებ. დღესასწაულის აღსანიშნავად ქალთა განყოფილებამ გახსნა სასადილო სარეცხაო და სამკერვალო და ამით არსებობის საშუალება მიეცა შეჭირვებულ ქალებს.

აპრილში ჩატარებული იქნება მაზრის ყველა თემებში უპარტ გლეხთა კონფერენციები. გლეხო ყველგან გამოსთქვამდა სურვი რომ მომავალში ასეთი კონფერ ცია მოწვეული იყოს ხშირ ხშ განსაკუთრებით გლეხების სიხარ საზღვარი არ ჰქონდა ... რმისა გამო. გლეხობამ მისალმ უგზავნია უმაღლეს ხელისუფ წარმომადგენელთ აგრეთვე ჩატ ბულ იქნა აპრილში ყველა რაიო ში პარტიული კონფერენცია, კი მაზრაში. აღსანიშნავია ხარვეზი მოვლენა, რომ ყვე პარტკონფერენციას ახასიათ ერთსულოვნება და საქმიანობა. თა შორის მუშაობას ბოლო დაეტყო გამოცოცხლება; მაზრის ტაბით საბჭოებში შედის ოცი გლეხკომებში 30 ქალი. სამაზ აღმასკომში 1 ქალი კოოპერაციი გამგეობაში 3 ქალი პროფკ შირებში ირიცხება 143 ადგილკომებში ორი, უმუშევ თა რიცხვი უდრის 7, კულტ რულ დარგში ქალთა შორის მუ ობა სწარმოებდა ხელზე მოსამსახ გოგოების აღრიცხვაში და მათ რის წერა-კითხვის უცოდინარობ ვე დაცვაში სალიტერატურო გში მუშაობა გამოიხატებოდა გა „კომუნისტ"-ში და „ჩვენი გზა" თანამშრომლობით. მაზრკომი მძღვანელობას უწევდა ახალგაზ თა კომკავშირს, რომელთა შო მჭიდრო კავშირი არსებობს ერთ შორის წარმომადგენელთა სა მაზრკომი ხელმძღვანელობას უწ აგრეთვე პროფმუშაობს. გან თრებული ყურადღება მიაქცია კომმა ჩხოში მუშაობას უწევდ როგორც იდეურ, ისე ნივთიერ მარაგებასაც. მაზრკომი დიდ რადღება აქცევდა კოოპერ მუშაობას. მან აირჩია კომისია რაციის არა სამედო ელემენტ გან გასაწმენდათ, რომელიც ამთავრებს თავის მუშაობას მასა და მაზრის აღმასკომს შუ ცრო კავშირი არსებობს. მაზრ პრეზიდიუმის წევრი შედის აღ მის პრეზიდიუმები და 3 რაიკომ შაობა აღმასკომში საგრძნობლა მოცოცხლებულია. ბანდიტიზმი მა ში სავსებით მოსპობილია,—მოსახ ობა ძალიან მადლიერია საბჭოთ ლისუფლების და მშვიდობიანად თავის მეურნეობას. პარტიული მუშ სათანადო დონეზე დაყენებისათვ აუცილებლად საჭიროა გაუქმ რაიკომების აწევა-დადგენა, ვინ ამას მოითხოვს მაზრის გეოგრაფ მდებარეობა და საქმიანობის ინტერესი მაგ. დ. ხიბში რაიკ არსებობა აუცილებელია.

ვარახი დე[illegible]

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა მეორე ყრილობა

მესამე სხდომა

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. იაშვილი).

პირველ ხანებში, ვიდრე ა/კ. რესპუბლიკები ფაქტიურად გაერთიანდებოდნენ, შრომის სახ. კომის. მუშაობა მოისუსტებდა, მაგრამ ა/კ. ორგანოთა ამუშავებლობით მუშაობის გაძლიერების შემდეგ, შრომის სახ. კომ. მუშაობაც უფრო ინტენსიური შეიქნა.

შრომის დაცვის დარგში.

ა/კ. შრ. სახ. კომის. ს/ დადგენილებით სავალდებულო გზით დაწესებულია სამეურნეო ორგანოებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის სავალდებულო ხელფასის მინიმუმი, ამავე დროს შრომის სახ. კომისარიატი უფლებას აძლევს [illegible] ხელფასის არა ნაკლები დონე, რომელიც მათ მოპოვებული ჰქონდათ კოლექტ. ხელშეკრულების დადების დროს.

შრ. სახ. კომისარიატთან არსებული ინსპექტორები აწარმოებენ რა თვალყურს წვრილი და კუსტარულ წარმოებებზე, ამასთანავე მთავარ ყურადღებას აქცევენ საშუალო და მსხვილ წარმოებებს.

შრომის პირობების გასაუმჯობესებლად დაწესებულ იქნა სამეცნიერო ბიურო, რომელიც იკვლევს წარმოების მავნეობას და აწესებს მუშების პროფესიონალურ დაავადებების თავიდან აცილებისათვის ტექნიკური ღონისძიებების შესაძლებელ სათანადო ზომებს.

შრომის დაცვის საქმეს აბრკოლებს ინსპექციის სიმცირე, საშუალებების უქონლობა სხვადასხვა ადგილზე გასამგზავრებლად, შრომის ინსპექტორების ხშირად გამოცვლა და უფლებრივი ინსპექტორების მომზადების ნაკლებობა.

სოციალური დაზღვევა.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა და გაძლიერდა. უმუშევრობისათვის ერთად ანაზღაურება, როგორც რიცხვი დაზღვევის მიერ უმუშევართა ისევე დახმარების რაოდენობაც. გარდა ამისა დამზღვევ ორგანოებმა იკისრეს დახმარების აღმოჩენა და სანიტარულ ორგანიზაცია და ბინის დაზღვეულთა საჭიროებისათვის.

დამზღვევ ორგანოთა მორიგი ამოცანაა დაიცვას არსებული საშუალებები ტარიფი, დაზუსტდეს გადასახადების ნორმა და ზოგების მიღება დამზღვევ ორგანოებისთვის დაწესებულ გადასახადების სახით. გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების გაუმჯობესებას.

სატარიფო ეკონომიური მუშაობა.

ზოგიერთ ფაქტების დაწყებას, 8 სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ დაწესებულებებისათვის სამუშაო ხელფასის ფონდის განსაზღვრას კონფლიქტების მოგვარებას და სხვა ამავე დროს შრ. სახ. კომ. ხელმძღვანელობდა შრ. სახ. კომ. რესპუბლიკურ ორგანოების მუშაობას საკონფლიქტო დარგში და თვალყურს ადევნებდა და კონტროლს უწევდა დაწესებულებებს, რომ მუშა მოსამსახურეებს ხელფასი თავის დროზე მისცემოდათ.

უმუშევრობა.

ა/კ. თითქოს ერთ დონეზე შეჩერდა. უმუშევართა რიცხვი მთელ საბჭოთა ძალის 27 ნახ. პროც. შეადგენს უმუშევრობა ნაკლებად არის საშუალო წვრილ მუშებს შორის, ხოლო უფრო მეტი პროცენტია მოსამსახურეთა და უკვალიფიკაციო მუშებს შორის.

წითელარმიელთა სახლში გაშვებამ უმუშევართა რიცხვი გაზარდა.

უმუშევრობის შესამცირებლად საჭიროა [illegible] უმუშევართა რიცხვის გადიდება, შრომის ბირჟების მოწყობა და ზედმეტ სამუშაოთა აღკვეთა.

შრ. სახ. კომ. დიდ მუშაობას აწარმოებს მოედა აგრეთვე მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის და ხელფასის დონის გამოსარკვევად.

დასასრულ ამხ. იაშვილს საჭიროდ მიაჩნია კომისარიატის მუშაობის გასაუმჯობესებლად და ნაყოფიერებისათვის სრული კონტაქტი პროფკავშირებთან, რომელთაც კვალიფიციურ მუშაკების მომზადებით და მოწოდებით ხელი უნდა შეუწყონ შრომის დაცვის და დაზღვევის საქმეს.

მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს, რომელთაც იგი სათანადო პასუხით აკმაყოფილებს. მცირე ხანით შესვენების შემდეგ სხდომა საღამოს 8 საათზე სრულდება.

მეოთხე სხდომა

ა.-კ. მუშათა კოოპერაცია

(მომხსენებელი ამხ. პიტერსკი)

ა/კ. მუშათა კოოპერატიულ ორგანიზაციებით ითვლებიან: 1) ბაქოს მუშათა ცენტრ კოოპერატივი, 2) სამრეწველო კოოპერატივი „გორნიაკ", 3) ტფილისის მუშათა კოოპერატივი, 4) ერევნის მუშათა კოოპერატივი, 5) ა/კ რკინის გზის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოება, და 6) კასპიის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოება. აღნიშნული მუშათა კოოპერატივები დაახლოვებით 750 ათასი მუშა-მოსამსახურეს საჭიროებას აკმაყოფილებენ. ამ რიცხვში პროფკავშირის წევრთა ბაქოს მუშკოოპის მიხედვით—80 000, თბილისის მუშკოოპის მიხედვით—35 ათასი ერევნის მუშკოოპში—6 ათასი. ა/კვ. სატრანსპორტო საზოგადოების მიხედვით 88 ათასი და ასე შემდეგ.

კოოპერატივთა ხაზით კაპიტალი.

ყველა ზემოხსენებულ კოოპერატივებში 1 აპრილისათვის ითვლებოდა 52 710 წევრი.

ა/კ. სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოება აერთიანებს ტრანსპორტის მუშათა 90 პროცენტს, ერევნის მუშკოოპი 40 პროცენტს, ტფილისის—36 პროც. ბაქოს მუშკოოპი 33 პროცენტს საპაიო გადასახადი მეტად მცირეა, განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის მუშკოოპებში საერთოდ საპაიო გადასახადი [illegible] დღიური წესრიგში დგას. ბაქოს მუშკოოპის საპაიო კაპიტალი უდრის—79 000 მან. თბილისის მუშკოოპის—66 ათასი ერევნის მუშკოოპის—6 ათასი და ასე შემდეგ.

ზედდართული ხარჯები.

ზედდართული ხარჯები რესპუბლიკის მუშკოოპებში ყველგან ერთნაირი არ არის ყველაზე ნაკლები ზედდართული ხარჯები აქვს თბილისის მუშკოოპს, ყველაზე მეტი ა/კ. სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოებას (15 პროცენტამდე) უნდა აღინიშნოს, რომ ზედდართული ხარჯები წინა თვეებში კიდევ უფრო მეტი იყო, ვიდრე დღეს არის.

სავაჭრო ქსელი.

სავაჭრო ბრუნვის გაძლიერებასთან ერთად გაიზარდა კოოპერ. დუქნების რიცხვი.

ბაქოს მუშკოოპს აქვს 62 დუქ. თბილისის—29, ერევნის—7, ა/კ სატ. მომხ. საზ.—52, კასპიის მომხ. საზ ს—61. სულ დუქნების რაოდენობა უდრის—166. მომავალში დუქნები უნდა გაიხსნას თვით წარმოებებში და ამ საშუალებით კოოპერაცია უფრო დაუახლოვდეს მუშა-მომხმარებლებს.

საქონლის ნისიად გაცემა.

ა/წ. პირველ აპრილამდი, ბაქოს მუშკოოპმა ნისიად მისცა 627.810 მან. საქონელი 9 247 მუშა-მოსამსახურეს თბილისის მუშკოოპმა 259 170 მან. საქ. 6 931 მუშა მოსამსახურეს ერევნის მუშკოოპმა—7000 მ.ნ საქონელი ა.—კ. სატ. მომხ. საზ. 171 787 მან. საქონელი 12 621 მუშა-მოსამსახურეს., კასპიის მომხ. საზოგად.—192300 მან საქ. 5.316 მუშა მოსამსახურეს.

საერთოდ თითეულ მუშას მიეცა ნისიად 40 მან. საქონელი

[illegible] ნისია მუშებს

ხელფასის სიმცირე და ზოგჯერ მისი დაგვიანებით მუშა მოსამსახურეს ხშირად კერძო მედუქნის კლანჭებში აგდებს. ამიტომ მუშკოოპმა უნდა გაუხსნას მომხმარებელს წვრილი კრედიტი ჯგუფ-ჯგუფობით ამ დარგში კოოპერატივს ცოტა რამ აქვს გაკეთებული. საჭიროა ამ საკითხის დაუყოვნებლივ მოგვარება პრაქტიკულად.

შემდეგ მომხსენებელი არკვევს მუშკოოპის და სახელმწიფო ვაჭრობის დამოკიდებულებას, კოოპერაციის სამრეწველო მოქმედებას, ქალის მონაწილეობის საკითხს კოოპერაციაში და აყენებს სათანადო დებულებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სამანდატო კომისიის წევრს ამხ. საფაროვს.

სამანდატო კომისიის მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. საფაროვი)

ა/კ პროფკავშირთა მე 2 ყრილობას დაესწრო სულ 178 დელეგატი. ამ რიცხვიდან 171 დელეგატი იყო გადამწყვეტი, ხოლო 7 სათათბირო ხმის უფლებით.

აზერბაიჯანიდან წარმოგზავნილი იყო 84 დელეგატი, სომხეთიდან 20 დელეგატი, ხოლო საქართველოდან 86. რკინის გზელებიდან 17.

სქესის მიხედვით მამაკაცი იყო 171, ქალი—7 სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშა 97 ანუ 54 პროც. მოსამსახურე—81, ანუ 46 პროც.

ეროვნების მიხედვით ქართველი—84, რუსი—41, სომეხი—46, თურქი—41, და სხვადასხვა ეროვნების—16 პარტიულობის მიხედვით: კომუნისტი—153; ახ. კომ. კავშირელი—8 უპარტიო—17.

ყრილობამ სამანდატო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცნობები დაამტკიცა სამანდატო კომისიის შემდეგ ყრილობის სხდომა ათი წუთით წყდება.

ა.-კ. პროფსაბჭოს არჩევნები

ყრილობა ერთხმად ღებულობს კომფრაქციის მიერ წამოყენებულ კანდიდატთა სიას.

ა—კვ. პროფსაბჭოში. არჩეულნი არიან ამხ. ამხ.:

ასლანოვი, აბილოვი, ალავერდიანი ბაბაევი, ბარიშევი, ბეჟანიშვილი [illegible], გრიგორიანი, ჯუღელი, ყურულაშვილი, ქავთარაძე, ყასიმოვი, კუზნეცოვი, ისმაილოვი, ივანოვი, მაჩაიძე, ნიკიშინი, ომაროვ მამედალიევი, ვარლამოვი, სემკოვი, [illegible], სერგეევი, სარქისოვი, სარქისიანი, გეგეჭკორი, [illegible], შვარცი, ხაჯიმაროვი, იაკუბოვი, იაშვილი.

კანდიდატებად: ამხ. ამხ. საფაროვი, შელიძე, ოსეპიანი, ოპარინი, კოკნაძე 5 ტერ არუთიანი, [illegible], ელდიალოვი, გრიგორიანი, ვილჩეკოვი, [illegible] და კაზარიანი

სარევიზიო კომისიაში.

ბადიშვილი, [illegible], პოგოსოვი, ფლოროვი და ნიკიტინი.

კანდიდატებად: ამხ. ახა მამედოვი, სარგულიანი. არჩევნების შემდეგ კრების მუშაობას დასკვნას უკეთებს ამხ. სემკოვი, რომელიც უსურვებს დელეგატებს [illegible] ნაყოფიერი მუშაობა.

ყრილობა ინტერნაციონალის სიმღერით იხურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ფელეტონი

შფოთვა მუსოლინისა

ანუ

„ძაღლი წევს და კუდი ღრინავს“...

მუსოლინიმ მოულოდნელად შეწყვიტა თავისი მოგზაურობა სიცილიაში და რომში დაბრუნდა. იტალიის პრესის აზრით, მუსოლინის მოგზაურობის შეწყვეტა გამოწვეულია საფრანგეთის არჩევნების შედეგებით

(დეპეშებიდან)

რომ დავტოვე სიცილია,
ამდის არ მეძინა:
მესიზმრა პუანკარე
დილამდის ცრემლი ვღვარე...
ით მახლდა ეს ამბავი
დილითაც მტკენდა თავი..,
ნე გზას არ შევუშინდი
რომისკენ გამოვფრინდი!..
დგან და სიცილია,
ს სიგრძნობი მანძილია,
რამ ცუდმა დეპეშებმა
ნეს ეულში ცხენის შეზმა!..
მოვთელილი ეს კუნძული
პარამდის სულ ძუნძულით
იქიდგან გულის ცემით
ლევ გამოვლილი ციცხლის გემით,
ნაწილი გზა მტირებულს
დღე, იმ ჩემს გამამწარებელს..
ლა ვზივარ ჩემთვის რომში,
თ დაჭრილი მძიმე ომში,
ნ პარიზი მელანდება;

სული სწუხს და გული სწყდება...
მოსვენებით ძილი მძინავს!:
„ძაღლი წევს და კუდი ღრინავს“..
ამ რადიოს მიაქვს ყური,
სულ იძახის: „ერრიო.. ერრიო“...
მოვშლი ყველგან მის სადგურებს,
მოვასვენებ მაინც ყურებს,
თორემ ღამის გადვირიო..
ჩუ!. ზუზუნებს კვლავ: „ერრიო...
ბლიუმ.. ბონკურ.. ლევი.. ბრიან“!..
უჰ, რა მკაცრნი ქარნი ჰქრიან!.
მორბის სიტყვა და მღრინავს..
„ძაღლი წევს და კუდი ღრინავს“!.
ამიკლეს ამ არჩევნებით
და აღარ ვარ მოსვენებით:
რაც დავტოვე სიცილია,
ჯერ მშვიდად არ მძინია!.
ამ რადიოს მიაქვს ყური
სულ მყვირის: „ერრიო.. ერრიო“!..
და რომ შევბა მივუცე ყურებს,
მოვშლი ყველგან მის სადგურებს!..

ონისიმე

ეკონომიური ცხოვრება

სავალუტო კურსი თბილისში.

(18 მაისი)

ჩერვონეცი—125 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

ინგ. სტერლინგ. ფუნტ. — 8 მ. 50 კ.
„ ჩეკები — 7 მ. 60 კ.
ამერ. დოლ. — 1 მ. 94 ნახევ. კ.
„ ჩეკები — 1 მ. 78 კ.
თურ. ქაღ. ლირა ერ. — 90 კ.
იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.
ფრანც. ფრან. 100 ცალი 9 მ.
ოს მანეთი 12 500 მილიონი.

სურსათის ფასები

(18 მაისი)

პური 2 ხარი.—5 და 5 ნახ. კაპ., ძროხის ხორცი — 30 კაპ., შაქარი რაფინადი— 33 კ., შაქარი ფხვნილი —25 ნახ კ., კარტოფილი— 2 კ., ყველი—14 კ., საპონი „ტოილეტ“ კ.. ფქვილი თეთრი № 0—10 კ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(18 მაისი)

პური 1 ხ. — 7 ნახ —8 კ., შავი 3 ხარ. ნახ.—6 კ., ძროხის ხორცი—30 კ., შაქარი რაფინ 33 ნახ — 34 კაპ შაქ ფხვნილი—26 კაპ., თეთრი ფქვილი 0—10 კაპ., კარტოფილი—3 კაპ. რონი—18 კაპ.

სამრეწველო და საქონლის ბირჟის ოპერაციები

(15 მაისი)

საფონდო განყოფილება.

1 მაისიდან 14 მაისამდე ბირჟაზე დადებულია 55 საფონდო გარიგება —241.436 მანეთისა, ხოლო 15 მაისს გარიგ —46020 მან, სულ 1 მაისიდან 65 გარიგება—287456 მან. თანხისა.

საქონლის განყოფილება

1—14 მაისამდე დადებულია 51 საქონლის გარიგება—320136 მანეთისა, ხოლო 15 მაისს 4 გარიგება—10292 მან.; სულ 1 მაისიდან 55 გარიგება 330 428 მან. თანხისა.

ხორცის სექცია

1—14 მაისამდე ხორცის სექციაში დადებულია 164 გარიგება—65633; 15 მაისს—13 გარიგ. —3540 მან.; 1 მაისამდე —177 გარიგ.—69173 თანხისა.

ბირჟის მოთხოვნა

მზესუმზირის ზეთი, გუთნები, სათიბელი, „ქიმტრესტ“-ის პროდუქცია, „ცემენტტრესტ“-ის პროდუქცია, გოგირდი „ბუდა“, ჩაი ცეილონის და ჩინეთის, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, სხ. მეურნ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“, და ტუალეტის, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), ფანჯრის მინა რუს., „კრაიტტორგ“-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი, და სხვ.) მარტენის მადნეული, სალეწავი მანქანები (მოწყობილობით), „ოკრტექსტილსინდიკატ“-ის პროდუქცია, თივა (შეკრული) ვაგონებით, წერაქვები და ბარები სალომასი, საშენი ბელი ლურსმნები, ყუბანის ფქვილი, „რაზმოლ“.

ბირჟის შეთავაზება

ფანჯრის მინა შიმის (немское), ცხვრის ტყავი (სპარსული), ასანთი რუს., ზეთისხილის ზეთი, გუთნები, სათიბავი და სათესი მანქანები, ჯაგარი, ნარმა და მატყლი, წვრილი რუფიონობა, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვა მარილი ნახშ, შავი ქვის მადანი (მარგანეცი), თამბაქო (ამ. თამბაქოს ტრესტის), თევზი (вобла).

ამიერ კავკასიის სავაჭრო სამმართ. თბილისში

მოლაპარაკება აბრეშუმის პარკის რეალიზაციის შესახებ.

მოლაპარაკება აბრეშუმის პარკის რეალიზაციის შესახებ „შელკოტრესტ“-თან წარმატებით დამთავრდა: გაყიდულია 3000 ფუთამდე, 140 მანეთად ფუთი

„სახაროტრესტ“-თან ანგარიშის გასწორება.

„სახაროტრესტ“-ის გამგეობამ წარუდგინა ა/კ. სავაჭრო სამმართველოს ანგარიში 800 000 მანეთისა. ეხლა ანგარიში დაწეულია 120 000 მანეთამდე, გარდა ამისა „სახაროტრესტ“-ს გადაეცემა 20.000 ფუთი ფხვნილი შაქარი, რომელიც გაუყიდველი დარჩა თავრიზში და ენზელში.

შაბიამანის რეალიზაცია

ა/კ. სავაჭრო სამმართველომ წინადადება მისცა თავის სავაჭრო განყოფილებას, რათა 12.000 ფუთი გაუსაღებელი შაბიამანი არაგვისთვის არ გამოუშვას და შენახული იქნეს.

ავადმყოფობანი და სანიტარია თბილისში

ამბულატორული ავადმყოფობანი

ამბულატორიულ ავადმყოფთა რაოდენობა თბილისში უდრის 75.283 კაცს.

ასაკის მიხედვით, ამბულატორიულ ავადმყოფთა შორის ყველაზე მეტია 20—29 წლოვანები (27 117 ე. ი. 36 პროც.) შემდეგ 30—39 წლოვანები (12263— 16,3 პროც.) შემდეგ მოდიან 15—19 წლოვანებზე (10.681—14,3 პროც.).

სქესის მიხედვით ამბულატორიულ ავადმყოფთა შორის დედაკაცები შეადგენენ (38 859 სული) მამაკაცები შეადგენენ 36 424. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ 1000 მამაკაცზე მოდის 827 ავადმყოფი, მაშინ, როდესაც 1000 სულ დედაკაცზე 820 ავადმყოფი მოდის.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ დედაკაცი, როგორც ოჯახის მარჩენელი, მეტად იქანცება ყოველდღიური შრომით, ალბათ ავადმყოფდება და იძულებული ხდება უფრო ხშირად მიმართოს ექიმს.

ავადმყოფნი ეროვნების მიხედვით. ასე ნაწილდებიან: 80.072 ქართველიდან ავად გამხდარა 26 280 კაცი, 3 262 სომხიდან ავად ყოფილა 7 621, 88 326 რუსიდან ავად გახდა—13 244, დანარჩენ ეროვნების 114 მოქალაქიდან ავად ყოფილა 8.183 კაცი.

ამნაირად ავადმყოფთა შორის ყველაზე მეტი რუსია, შემდეგ ქართველი და სომეხი.

ავადმყოფნი ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

ასე ნაწილდებიან: ცოლიანი და ქმრიანი 87 570 ე. ი. 47,3 პროცენტი, უცოლო და გაუთხოვარი 21.543 —ე. ი. 27,4 პროცენტი, ქვრივი—1,569, ბავშვი 15 წლამდე 15 003, გაყრილი—42

როგორც ვხედავთ ავადმყოფთა უმრავლესობა ცოლიანი და ქმრიანია.

ავადმყოფობათა ხასიათი.

როგორც წლიური ანგარიშიდან ჩანს ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა მალარია, რომლით დაავადმყოფებულთა რაოდენობა შეადგენს აბსოლიუტურად 10 875—ე. ი. ავადმყოფთა საერთო რიცხვის 14,5 პროც. მალარია განსაკუთრებული სიძლიერით იჩენს თავს ზაფხულს და შემოდგომაზე ოთხ სახის მალარია! თან ერთად თბილისში ადგილი აქვს მძიმე სახის მალარიასაც, რომლითაც დაავადმყოფებული არიან მალარიის ბუდეებიდან (ყარაიაზი, კუმისი, ლილო, შულავერი) ჩამოსულ მოქალაქენი.

საჭმლის მომნელებელ ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი შეადგენენ 6 631-ს ე. ი. ავადმყოფთა საერთო რიცხვის—8,9 პროცენტს. აღნიშნულ ავადმყოფობა გამოწვეულია მოქალაქეთა ცუდი კვებით, მავნეების უწესრიგო და მიზანშეუწონელი საზრდოობით.

ვენერიული ავადმყოფთა რიცხვი მთელ ქალაქში უდრის 4653 ე. ი. საერთო რაოდენობა—7 პროც. აქედან ავადმყოფთა 20—27 წლამდე შეადგენენ 4 პროც., ხოლო უცოლონი და გაუთხოვარნი— 3,7 პროც.

საერთო გადამდები სნეულებით ავადმყოფნი შეადგენენ 4653-ს ე. ი. 6,2 პროცენტს.

გადამდებ სნეულებათა რიცხვში შედიან: ყვავილი, ქუნთრუშა, დიფტერიტი, ხოლერა, პარტახტიანი ტიფი და სხვა. ამ რიცხვში შედის აგრეთვე სხვა საერთო გადამდებ სნეულებათა ნაწილი მაგ. სახსრის მწვავე რევმატიზმი, ფილტვების კრუპოზული ანთება და სეპტიცემია

იშვიათია რომ ქალაქში რამოდენიმე ეპიდემიას ერთდროულად ქონდეს ადგილი. უმეტეს შემთხვევაში მძვინვარებს ერთი ან ორი ინფექცია. შემოდგომასა და ზამთარში გავრცელებულია ქუნთრუშა, გაზაფხულზე—წითელა, ყვავილი, წითელი ქარი და პარტახტიანი ტიფი, ზაფხულში მუცლის და სხვ.

არა გადამდები სნეულებათა რიცხვი უდრის—4 492 ე. ი. 5,9 პროცენტს არაგადამ. სნეულ. ჯგუფში შედის რახიტი და ანემია, რომელიც უფრო გავრცელებულია ღარიბ ხალხში მიზანშეუწონელი კვების და ნესტიან, ბნელი და ცივი ბინის გამო. მიუხედავათ ამ ავადმყოფობის სიხშირისა საქმეთ მაინც ცოტა მოდის. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზემოხსენებული ავადმყოფობა თავიდანვე სერიოზულ ხასიათს არ ღებულობს, მაგრამ როდესაც ავადმყოფობა მწვავდება, დახმარება უკვე გვიანდება და ამიტომ ხშირად უნაყოფო რჩება.

წითელ ჯარში

კულტურული მუშაობა ქართულ ჯარში

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ განყოფილების საკლუბო სექციამ მთავარ პოლიტ-განათლების მართველობას გადასცა გამოსაცემად ოცზე მეტი პიესა და ინსცენირებები, რომელნიც ჩვენს ჯარში იდგმებოდა და დაიდგმის მომავალში.

— სექცია ამ მოკლე ხანში ჩაატარებს ფართო სამობილიზაციო აგიტ-კამპანიას სამოქალაქო ორგანიზაციების ძალთა დახმარებით ყველა სამხედრო მუშათა და ახკომკავშირელთა კლუბებში.

— სექციას განზრახული აქვს გამოსცეს მალე კრებული პოლიტ-სამხედრო სათამაშოებისა, რისთვისაც სთხოვს ყველას ნაწილებიდან მოაწოდონ მეთოდი ასეთ თამაშობათა ჩატარებისა ჯარში.

— დივიზიის ცენტრალური საზაფხულო მუშაობას აწარმოებს გარნიზონის პოლიტ-სეკრეტარიატთან შეთანხმებით გარნიზონის ახალ საზაფხულო ბაღში (ყოფილი „ვერის ბაღი“).

საბიბლიოთეკო სექციაში.

ქ მ. დ პოლიტგანის საბიბლიოთეკო სექცია ამ მოკლე ხანში ჰმართავს გამოფენას დივიზიის ცენტრალურ კლუბში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქართული ლაშქრის ნაწილები.

სასკოლო სექციაში

ქ მ. დ. პოლიტგანის სასკოლო სექციაში კულტმუშაობა კარგათ მიმდინარეობს. ხშირად იმართება მასწავლებელთა თათბირები, სადაც არჩევენ ახალ ახალ საკითხებს და სწავლების მეთოდებს აწყობენ ექსკურსიები და სხვა.

ამ მოკლე ხანში მოეწყობა, გარნიზონის მასშტაბით ექსკურსია ზემოავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურზე.

სასკოლო სექციის უფროსად დაინიშნა ამხ. მ მერაბიშვილი.

— 8 მაისს შესდგა ტფილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების მასწავლებელთა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა მაისის და ივნისის თვეების მუშაობის გეგმა:

1. სასკოლო შენობების მოწყობა და შეკეთება ნაწილებში.
2. მეთოდიური მუშაობის გაძლიერება,
3. მასწავლებელთა თანაშემწეების გამოყოფა და მათთან მეთოდიური მუშაობის მოწყობა.
4. ჩვენმა სასკოლო მეცადინეობაში როგორც უცოდინარ, ისე მცირე მცოდნე წითელ არმიელთა 100 პროცენტისა.

[illegible]

საბჭოთა სასამართლოში

ბავშვის გაუპატიურება

ალმ. სამ ოლქის სასამართლომ მოისმინა პასტერის სადგურის დარაჯის მიხ. პოდოსიონოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება მცირეწლოვან ბავშვის გაუპატიურება, რაც გათვალისწინებულია ს. ს. კ-ის 172 მუხლში.

პასტერის სადგურთან მდებარე მინდორზე თამაშობდა რამოდენიმე მცირეწლოვანი ქალიშვილი და მათ შორის, ირინე სპირიჩევსკაია და ნინო ბახჩისარაიცევისა. ბავშვები ეთამაშებოდნენ პატარა ძაღლს სტიუარტის ძაღლს,—„დესის“-ს ამ დროს სადგურიდან გამოვიდა დარაჯი პოდოსიონოვი, გამოელაპარაკა ბავშვებს და სხვათა შორის, უთხრა მათ, რომ მას ჰყავს პატარა ბატკნები ბავშვებმა სთხოვეს აჩვენეთო. დარაჯმა წაიყვანა ირინე და ნინო. ირინემ აიყვანა ხელში ბატკანი და თამაში დაიწყო, ხოლო ნინო დარაჯმა გაგზავნა სადღაც მეორე ბატკნის მოსაყვანათ. როდესაც ირინე მარტო დარჩა, პოდოსიონოვმა ბავშვი მუხლზე დაისვა და გაუპატიურება დაუპირა. ბავშვმა ყვირილი მორთო და დარაჯი იძულებული იყო თავი დაენებებინა ბავშვისათვის.

სასამართლომ ვ. ცინცაძის თავმჯდომარეობით და მოსამართლე შერიევისა და ენუქიძის მონაწილეობით ბრალდება დამტკიცებულად სცნო და ბრალდებულ პოდოსიონოვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

ქრონიკა

მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მორიგის და გამომშვების შეცდომით მესამე გვერდი დაიბეჭდა მეორეს ადგილზე და პირიქით.

■ **ნიხრი ეტლზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ დააწესა ნიხრი ეტლებზე სამოგზაუროთ. ერთი გზა 60 კაპ., რკ გზის სადგურზე—1 მან. სადგურიდან ქალაქის ცენტრში—1 მან. და 50 კაპ. მოგზაურობა საქმეების გამო (დასვენებით)—1 მან. და 20 კაპ დაუსვენებლად 1 მან და 50 კაპ ქალაქგარეთ (ორთაჭალაში, ვაკეში, ნავთლუღში და საბურთალოში გასასვლელად) 1 მან და 50 კაპ. სეირნობა—შეთანხმებით.

■ **ჯარიდან დაბრუნებულთა გაგზავნა სამუშაოზე** ჯარიდან დაბრუნებულ უმუშევრებს შრომის ბირჟა სამუშაოზე აგზავნის რიგს გარეშე დღემდე 260 კაციდან სამუშაოზე გაიგზავნა 110 კაცი.

■ **დახმარება უმუშევრებს.** 26 მაისიდან უმუშევართა დამზღვევი განყოფილება დაიწყებს მაისისთვის დახმარების გაცემის დაზღვეულ უმუშევრებზე.

■ **ბუღალტერთა გამოცდა.** 19 მაისისს, სალ 5 საათზე შრომის ბირჟის შენობაში დაიწყება უმუშევარ ბუღალტერთა გამოცდა ცოდნის შემოწმების მიზნით.

■ **საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად.** ქუთაისის მაზრის აღმასკომმა დაადგინა მაზრაში მოაწყოს საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებელი პუნქტები. ამ მიზნით შეძენილ იქნება საუკეთესო ჯიშის საქონელი.

■ **უმუშევართა გაგზავნა სამუშაოდ.** შრომის ბირჟამ სამუშაოდ გაგზავნა აპრილის განმავლობაში 41 უმუშევარი და 30 მათი ოჯახის წევრები.

■ **მკურნალობა ამბულატორიაში.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გახსნა ამბულატორიებში მკურნალობის უფლება მიეცეს გარდა მუშამოსამსახურეთა, კერძო მოქალაქეთაც ფასის გადახდით.

■ **უმუშევართა მოძრაობა.** 16 მაისს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა 129 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 90. მოთხოვნილება იყო 74. სამუშაოზე გაიგზავნა 83.

■ **აქციზის დაკლება ღვინოზე.** ა. კ ცაკმა მიიღო დადგენილება ადგილობრივ ნაწარმოებ ღვინოზე აქციზის დაკლების შესახებ.

■ **ყარაბახელი დამშეულები.** ყარაბახელ დამშეულთა სასარგებლოთ ა. კ. ფინანსთა სახ კომისარიატმა გადასცა 10.000 მანეთი, თანახმათ ა. კ ცაკის მიმართვისა.

■ **დღეს აგრონომები მუშაობენ.** დღეს, კვირას 18 მაისს ყველა კომუნალური აგრონომები მუშაობენ დილის 8 ს. შემოსავალი გადაიდება კომუნალურ მეურნეობის კავშირის კოლექტივში მოსულის ბავშვთა სახლისთვის.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

■ **პროვინციელ ავადმყოფების შესახებ.** შენობის შეკეთების გამო დროებით შეწყვეტილია პროვინციიდან ავადმყოფთა მიღება რესპუბლიკის მთავარ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

■ **ფარმაცევტიული თათბირი.** ჯანმრ. კომისარიატში იმართება ფარმაცევტიული თათბირი, რომლის პირველი საორგანიზაციო სხდომა შედგება 19 მაისს დღის 12 საათზე.

■ **ვაჭრობა სააფთიაქო მაღაზიებში.** სააფთიაქო მაღაზიებს ნება ეძლევათ ივაჭრონ მხოლოდ ავადმყოფთათვის მოსავლელ საგნებით, კოსმეტიკით და პარფიუმერიით. მედიკამენტების დამზადება სასტიკათ ეკრძალებათ. სახელწოდება უნდა ატარონ საკოსმეტიკო საპარფიუმერიო მაღაზია.

■ **მივლინება საკავშირო ექიმთა ყრილობაზე.** საეპიდემიო ექიმთა საკავშირო ყრილობაზე ლენინგრადში მივლინებულ არის ექიმი ნახარეტიანი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენცა გვყავს გაეროვნების წინააღმდეგნი*)

5 აპრილს, ა/წ. მოვათავე ჩემზედ დავალებული მუშაობა, რაც გამოიხატებოდა ვაგონის გადახურვაში. ავწერე ქართულად თუ რამდენი რა გავაკეთე და ბარათი წარუდგინე ჩვენს ბრიგადირს თბილისის ვაგონთა ფარეხში კარგათ ცნობილ ვიტუხინს.

მან გადახედა ქაღალდს და შენიშნა რა, რომ ნაწერი ქართულია, გამოიმართა, გადამიგდო და მითხრა დაწერეთ წესიერათო,—რაში გამოიხატება წამოძახება „წესიერათ“ მკითხველი თვითონ მიხვდება. აი მეორე მაგალითიც. რვა აპრილს მასვე გამოუგზავნა ქართულად დაწერილი ბარათი საბარგო ვაგონთა ფარეხის ხელმძღვანელმა ამხ. ელიბემ წინადადებით, რომ მიეცა იმ განკარგულება ვაგ. № 935684 ფიცრის დალაგების შესახებ. ამ ბარათსაც, რომელიც მოუტანა მას ზეინკალმა ქართველოვმა, ვიტუხინი არავე მოექცა.

საინტერესოა ვიცოდეთ როგორი გვიბრძანებს მოქალაქე ვიტუხინი წერას ან ლაპარაკს და ხომ არ გვავიწყდება ბრძანება № 261 გაუქმება.

ამავე ფარეხის მუშა-მოსამსახურე ვაგონების ახურავი მახვილაძე ნიკო.

დროს დაკარგვა—ქვეყნის ზარალია!

(ფოსტის სამმართველოს საყურადღებოდ)

თბილისის ელ. მანის სადგურის ქული შეერთებულია საქართველოს და მის მოსაზღვრე რესპუბლიკების დაბა ქალაქებთან. ყოველ მოქალაქეს შეუძლიან დაწესებული საფასურის გადახდით ელაპარაკოს ამა თუ იმ ქალაქიდან, ვინც სურს გამოიწვიოს და გამოელაპარაკოს.

ამისათვის ასეთი წესია. შეუძლიან სალაპარაკო დროის განსაზღვრულ საათისას, მაიდებ დანიშნულ ვადაზე მისვლის ბარათს, რათა გამოწვეულ პირთან შეაერთონ,—დანიშნულ დროზე მისვლა, რათა გამოწვეულ პირთან ელსმენით შეაერთონ ლაპარაკი სულ რამდენიმე წუთით (3, 6, 9 და სხ) მაგრამ ვიდრე სამი წუთით ლაპარაკს ელოდებით სასურველ პირთან, საათები გეკარგებათ.

საქმე შემდეგშია: მიხვედით დანიშნულ ვადაზე, ვსთქვათ მაგ. 4 ს ელსმენის მორიგე გეცხადებათ: 5 ზე უნდა მიბრძანდეთ.—რა მიზეზით, აკი 4 ზე დამინიშნეთ ვადა? —გიპასუხებთ —ჩვენ მოსკოვის დროზე ვართ გამოგითვლით და სხვა ამგვარად წუთის საქმეზე იკარგება საათები.

თუ მოსკოვისა და თბილისის დროის გაერთიანება არ შეიძლება, ნუ თუ ის მაინც ვერ მოხერხდება, რომ ყველა გამომწვევს უჩვენონ ის ნამდვილი დრო, რომლითაც უწყება ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში?

დრო ძვირად ღირს, დრო არ უნდა დაუკარგოთ არავის, რადგან ეს ქვეყნის ზარალია.

მთაწმინდელი.

---

*) ჩვენ მივაქცევთ სათანადო კომისიის ყურადღებას აქ მოთხრობილ ამბავზე მის გამოსარკვევათ და საჭირო ზომების მისაღებათ. რედაქცია.

სტამბის გამგეც ასეთი უნდა?!

ამა წლის 15 მაისს, გაზ „კომუნისტი“-ს კანტორის საწყობიდან გაიგზავნა მუშა ბუნო მამოიოვის ხელით გაზ „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში 2500 ფურცელი ქაღალდი წონით ექვსი ფუთი. როდესაც ხსენებული მუშა შედიოდა სტამბის კარებში, მას წინ აღუდგა სტამბის გამგე ამხ. შ. ხანახაროვი და არ შეუშვა იმ მიზეზით, რომ მას, მუშა მამოიოვს, ხსენებულ სტამბაში ორი თვის წინეთ ვითომდა ბინა გაეტეხოს გაზრახ და თითქოს დანაც მოეპაროს. მუშა მდგარა კარებში 30 წუთზე მეტი და როდესაც ძალა გამოილევია ქაღალდი ძირს დაუყრია, რით რამოდენიმე საგაზეთოდ მომზადებული ქაღალდი გაფუჭდა-დაზიანდა. ასე, რომ ამხ. შანახაროვმა ამით შური იძია მუშის მიმართ, მაგრამ ის კი ვერ შეიგნო, თუ რა ზარალი და ზიანი მიაყენა საზოგადოებრივ საქმეს და მუკურტის მუშაც ძალზე აწამა.

ვფიქრობ, რომ ასეთი საქციელი ამხ. შანახაროვისა—არ შეეფერება შეგნებულ საბჭოთა მუშაკს. მასთან საჭიროდ ვცნობთ, შესაფერისად დაისაჯოს პროფორგანოთა მიერ ამხ. შანახაროვის საქციელი.

ბ. თაბაგარი.

ფუნიკულიორთან სამილიციო პუნქტია

(მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

ფუნიკულიორის მიდამო ისაზღვრება დაუსახლებელ მთების კალთებით. ზაფხულის სეზონი უკვე დადგა და რაიონის გამოცოცხლება უფრო და უფრო ეწყობა. ამნაირად მივარდნილ კუთხეში დიდძალი ხალხი იწყებს თავის მოყრას, რაც მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ყოველ გვარი ბნელ მოქმედებისათვის. აქ ქურდობა და ყაჩაღობა ხშირი მოვლენაა. პროსტიტუციამ ფრთები გაშალა, უარესიც არის მოსალოდნელი ამისთვის აუცილებელია დაწესდეს აქ, ფუნიკულიორთან, ერთი მუდმივი სამილიციო პუნქტი.

მუშკორი ა. ნ.

„კომუნისტი“-ს მუშკორებში

ამა წლის 16 მაისს, სალ მის 6 საათზე შესდგა „კომუნისტი“-ს მუშკორების საერთო კრება. კრებაზე თავმჯდომარეობს ამხ. წილოსანი, მდივნობს მუშკორი სახუაძე დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) გაზეთ „კომუნისტი“-ს მე-1000 ნომრის გამოსვლის შესახებ; 2) ჟურნალ „მუშა-კორესპონდენტის“ გამოცემის შესახებ; 3) ლიტერატურული საღამოს მოწყობის შესახებ; 4) ექსკურსიის შესახებ.

ოთხივე კითხვების ირგვლივ იმფორმაციული მოხსენება გააკეთა მდ... მუშათა (ბოლშევიკური) [illegible] გამოსვლის შემდეგ, ამხ. მალაშხიას წინადადებით საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა: 1) მიიღოს მხურვალე მონაწილეობა „კომუნისტი“-ს მე-1000 №-ის გამოშვებაში 2) გამოწერილ იქნეს ჟურ. „მუშა-კორესპონდენტი“ შეძლებისდაგვარად; 3) მიიღოს მხურვალე მონაწილეობა პროლეტკულტის ლიტერატურულ საღამოში, რომელიც მოეწყობა სახ. სახლში—21 მაისს საღამოს 6 საათზე. ექსკურსიის შესახებ კრებამ დაადგინა მოეწყოს ექსკურსია მომავალი კვირისათვის (25 მაისისათვის) ზემო ავჭალაში ჰიდროელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად. ამასთან ერთად კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მიიღოს თავის რიგებში ექსკურსიაში მონაწილეობის მისაღებად ყველა ადგილობრივი გაზეთების მხურვალე მუშა-კორესპონდენტები.

მუშკორი სახუაძე.

მუშათა ქრონიკა

— **საავადმყოფო მოწყობილობის გაზრდისთვის.** ს. მ. ფ. ს ლითონის განყოფილებაში გახსნა საწოლების დამამზადებელი ქარხანა რკინის გზის დამზღვევ კასამ და საქარ. პროფკავშირთა საბჭოს სანატორია „აბასთუმანის“ სათვის აბასთუმანში მისცა ლითონის განყოფილებას დიდი შეკვეთები.

— **ლითონის და ლითონის განყოფილების შეერთება.** აღიძრა საკითხი პროფესიონალურ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში ლითონის განყოფილების და არსენალის შეერთებაზე, ამ საკითხის გამოსარკვევათ არჩეულია კომისია ს. მ. ფ. ს. საბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საქარ. პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

— **გაფართოვდება კულტმუშაობის ნაყოფიერად.** 26 კომუნარის სახელობის სამექანიკო ქარხნის მელითონეთა კლუბში მუშებს სათვის და მათ ოჯახების სათვის ამ ჟამად იკითხება ლექციები სხვადასხვა დარგიდან, იმართება კინო და საღამოები.

ინფორ.—ი. [illegible]შვილი

ხელოვნება

■ **რაჟდენ გვეტაძის ლექსების წიგნი.** გამოვიდა რაჟდენ გვეტაძის ლექსების წიგნი: „ვერხვების მე იამ“. წიგნი შეიცავს 100 გვ. და დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე. ფასი ერთი მანეთი.

■ **ხელოვნების მუშაკთა დღე.** ორშაბათს, 19 მაისს კონსერვატორიაში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ე ვაგის მონაწილეობით.

■ **საზინიანის ხალხის დღეს,** კონსერვატორიაში გაიმართება საზინიანის კონცერტი რეზ. გურიკოს დამხ. საერთ. სახ—ბის სასარგებლოთ.

● **ცენტრ. პარტიულ კლუბში.** ორშაბათს, 19 მაისს ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ კური, კაპელნიცკი, ბაუხი და სხვები.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე

■ **გოგიტა ცამბერიძის წიგნი.** გამოვიდა და იყიდება გოგიტა ცამბერიძის წიგნი, ძლიერ ლამაზათ გამოცემული.

პროვინციაში

ფშავ-ხევსურების მდგომარეობა (თელავის მაზრა)

თელავის მაზრაში, განსაკუთრებით იყალთოს რაიონის სამხრეთ ნაწილში (მთებში) სცხოვრობენ ფშავ-ხევსურები. ისინი სცხოვრობენ ძლიერ დაქსაქსულად, პატარა პატარა სოფლებად. ერთი სოფელი მეორესაგან 7—10 ვერსზეა დაშორებული. ზოგიერთ სოფლებში სცხოვრობენ 3, 5, 7 და არა უმეტესი 15 მეკომურის. ფშავ ხევსურები სცხოვრობენ სრულიად მიუვალ ადგილებში, სადაც ზოგიერთ სოფლებში მხოლოდ ფეხით შეიძლება მისვლა ზოგი კი, როგორც მაგ. თეთრი წყლების რაიონის სოფლები, ახლოსაა შარა გზასთან (ცივ-გომბორისკენ). აქ გასაბჭოების შემდეგ არის გახსნილი სასწავლებელი. დანარჩენი სოფლები, როგორც მაგ. იბგეთი, სახადა, ნაბახშირალი, ახსაბარი, კალოთანა, ბაკანა, საკვერე, ვაშლოვანი, აშროშანი, ნიაური, ჯუდებული, სალეწლი და სხვა სრულიად მოწყვეტილნი არიან სწავლა განათლებას. ეგინი სცხოვრობენ ძლიერ უსუფთაოდ. სახლები აქვთ მიწიში, ზედ მიწა ან ყავარი აქვს დაფარებული. ზოგიერთ სახლს, სანამ შიგ არ შეადგება ადამიანი, ვერ დაინახავ შიგ სახლშივე ზამთრობით ჰყავთ თხები საქონელი.

ფშავ ხევსურები უფრო მისდევენ მესაქონლეობას და ქერის მოყვანას, თავს ირჩენენ ერბო-კარაქით, რომელსაც ბარში ჰყიდიან, და ქერის მოსავლით. ქერი გვიან შემოდის (მწიფდება), მკიან ოქტომბერში, ზოგჯერ თოვლიც უწევს ხოლმე და ამიტომ ზამთარში უხდებათ გალეწვა პირველ ყოფილი იარაღებით.

ხევსურები საცხოვრებლად ერთ ადგილას არა ჩერდებიან, ისინი სჩეხავენ ტყეებს, რისგანაც სთლიან სხვადასხვა ოჯახის საჭირო ნივთებს, როგორიც არიან: პურის მოსაზელი, ხონები, სადღვებელები, თეფშები, ჩიჩები და სხვა. დიდძალს ტყეს აჩანაგებენ და როდესაც ერთს ადგილას გაამილევენ, მეორე ადგილას გადადიან. ქალები და მამაკაცები ერთნაირად მუშაობენ ტანისამოსს შინვე ამზადებენ მატყლისას. შიგნით ჩასაცმელს, ე. ი. პერანგს რამეს არ ხმარობენ. მარტო შინ დამზადებული მოქსოვილი სქელი შალებით არიან შემოსილები. მათ უყვართ ჭრელი ტანისამოსის ჩაცმა და ტანისამოსს მძივებით რთავენ.

ხევსურები ცრუ-რწმენით არიან გაჟღენთილნი და სალოცავებს მისდევენ, აგრეთვე მიცვალებულზედ დიდი ხარჯების გაწევა იციან. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ გამოაპყრიან ბლომად ლუდს, დაუძახებენ ყოველგვე ნათესავს და სხვას, და ქელეხი გრძელდება რამდენიმე დღეს, ხშირად სიმთვრალის შემდეგ ერთმანეთის კეჭნაობაც მოსდით. წლის თავის შესრულების დროს იწვევენ ისევე ნათესავებს და შეჯიბრებაშიც ცხენოსნობენ დოღს, ე. ი. ცხენის ჭენებას. ამ დოღისთვის დამზადებული აქვთ ერთი ხელი საუკეთესო ტანისამოსი, კარგი ცხენი მორთული და იარაღი, რომელსაც დოღში მონაწილე აძლევენ საჩუქრის მიზნით.

ხევსურებში გავრცელებულია ყაჩაღობა, საჭიროა მათში განათლების შეტანა, მათთვის ადამიანური ცხოვრების პირობების შექმნა.

ჭრ. კობაიშვილი.

უშაფათის თემა (სენაკის მაზრა)

ამ თემს სკოლის შენობის გასადიდებლათ და გა-ქი-რა დიდძალი მასალა. თემში იყო ხუთი ეკლესია ხალხის დადგენილებით ხუთივე იქნა დახურული და სკოლას ჩაბარებული.

სარწმუნოებრივი დღესასწაულებიც კარგავენ ჩვეულებრივ ხასიათს. ძველი გადმოცემა უკვე აღარ არსებობს საზოგადოებაში. აღდგომის დღეს „ქრისტე აღსდგა“-ს ძახილს ვერ გაიგონებდი როგორც წინათ, ისე შინაც საზოგადოება სრულიად შეგუებულია სამოქალაქო წესებთან. დაიბადება ბავშვი, მშობლები არქმევენ სახელს—და შემდეგ გაატარებენ რეგისტრაციაში.

ს. რაფ.

ს. ზანათი (სენაკის მაზრა)

სოფელ გალშა ზანათში ერთი დიდი ჭაობი იყო, სადაც უამრავი რაცხვი ბუდობდა—მალარიის გამჩენი კოლოების.

თემის ექიმის ვ. საჯაიას მიერ არა ერთხელ იყო გაფრთხილებული საზოგადოება ეს ჭაობი ამოეშროთ, მაგრამ საქმე არ თავდებოდა. ბოლოს როგორც იყო ჭაობი ამოაშრეს და გაქრა ის მყრალი სუნი, რომელიც ასე სდევდა მალარიას ხალხს.

ჭაობების ამოშრობა ამის შემდეგ თანდათან სხვა კუთხეებსაც მოედო. მალე მთელი სენაკის თემი განთავისუფლდება ამ ჭაობებისაგან.

ბ. ჭანიშვილი.

ნაგომარი (ოზურგეთის მაზრა)

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ამ თემს უჭირავს გურიის შუა ადგილი და წინათ ითვლებოდა თვალსაჩინო ადგილათ, სხვათა შორის, თავისი ყოველ წლიური იარმარკობით, რომელზედაც ყოველი კუთხიდან მიდიოდენ მყიდველ გამყიდველები.

ახლა ნაგომარი წარმოადგენს თემს (უკეთ რაიონს), რომელშიაც შედის 250 კომლი; ნაგომრის, ქვენაურის და შვაი ნარის.

აქ არის საკმაოდ მძლავრი „ეპო“, რომელსაც განყოფილებები აქვს დაბლა აკეთში, ძიმითში, ზომლეთში, ვაკეთში, ფიჩხისჯვარში და ასკანაში.

არის ფოსტა ტელეგრაფი, აფთიაქი, შრომის და ოთხ პირ დაწყებითი სკოლები, სამკითხველოც, რომელსაც მოსდის „კომუნისტი“, „მუშა“, „ნიანგი“ და სხვ.

ყოველ ოთხშაბათობით იმართება ბაზრობა, სადაც გამოაქვთ მოახლო პირველი საჭიროების საგნები და ფურთამი, თავის სხვა სოფლებს გამოაქვთ თავისი ნაწარმოებები.

ა. გ.

ს. ჭანიეთი (გურია)

ვინც იცნობს გურიის სამხრეთ მხარეს, მისთვის უცნაური, დიდი მნიშვნელობა სამაზრო საქართველოს სახელმწიფო შეიძლება ს. ჭანიეთის სახალხო სახლის. როცა ხსენებული სახ. სახლის აშენება თითქმის თავდება, საჭიროა აღნიშნოს იმ უხნარი მოღვაწეების მოქმედება, რომლებმაც თავს იდვეს ამ საქმის მოგვარება; უპირველესად ისინი სოფლის მუშებია, რომელთა ენერგიული მუშაობა სამაგალითოა მშრომელი გლეხობისათვის.

1921 წელს დაიწყო მუშაობა სახ. სახლზე, მის შემდეგ, სხვადასხვა დროს სახლის სამშენებლო კომისიაში შედიოდენ და საზოგადოთ მეთაურობდნენ ამ საქმეს შემდეგი პირები: კ. ბოლქვაძე, თაკ. სურგულაძე, თ. ლომჯარია, მ. ლომჯარია, ა. სურგულაძე, მკ. ლომჯარია, მონ. ლომჯარია, ლ. ბოლქვაძე, გ. ცინცაძე, მ. კალანდაძე.

სამი წლის განმავლობაში, ჭანიეთის მცხოვრებლებთან ერთად—ეწეოდა ეს ხალხი—თავგამოდებულ მუშაობას. ფას დაუდებელია აგრეთვე პოლ. განათლების მთ. სამმართველოს ზრუნვა, დიდი თანხით რომ დაეხმარა ამ საქმეს. ჭანიეთის მცხოვრებნი ყოველთვის მადლობის ელინებიან პოლ. გან. მთავარ სამმართველოს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სახლის აშენების საქმეში (ფულით, ხის მასალით, ფიცრით, ფანჯრებით, რკინეულობით, დეკორაციით და სხვა) დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე, ცენ. პატ. სკოლა, რომელმაც აიღო შეფობა ხსენებულ სოფელზე, და კერძო პირები, რომლებიც გამოეხმაურენ ამ საქმეს და ფულით დახმარება გაუწიეს მას.

ესენი არიან: გ. ხაჭაპურიძე, ს. თაყაიშვილი, ი. ხორმანსკი, ვ ხაჭაპურიძე, მ თოიძე, ს ლომჯარია, გ. გოგიშვილი, გ. ცინცაძე, გ ჩუბინიძე, ე. ურუშაძე, გაზ. ჩუბინიძე.

ი—კო—ხუნცარია.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

რადგანაც ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“ ზოგს მიაჩნია თბილისის უნივერსიტეტის ორგანოდ (რის შესახებაც ამას წინად ცნობაც იყო გაზეთებში), ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისია საჭიროდ რაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალია „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ და არა „ჩვენი მეცნიერება“, რომელიც არის კერძო გამოცემა და რომელთანაც უნივერსიტეტის გამომცემლობას არავითარი კავშირი არა აქვს.

თბ. უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიის მდივანი

დ კოტეჩიშვილი.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ჩემს წერილს პასუხად მოქ. ნიკორაძის გამოწვევაზე. ვაცხადებ, რომ, ვინაიდან აღნიშნული გამოწვევა წავიკითხე 15 მაისს, ხოლო გამოწვევას ვადა იყო დანიშნული ამავე დღეს, ამიტომ მოვითხოვე ვადის გაგრძელებას 20 მაისამდე. მედიატორებად ჩემი მხრიდან ვასახელებ მოქ. სტეფანე ბჟიას და თარგამაძეს, რომელიც გამოცხადდება გამოჩინებულის თემის საბჭოს შენობაში 20 მაისს.

„მორიელი“.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის ბიურო

ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 მაისს, დილის 10 საათზე, სახ. უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია კოლ. უჯრედის არაჩვეულებრივი კრება, რის გამო პარტ. დისციპლინის ძალით ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

უჯრედის ბიურო.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საარრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ნიკოლოზ სვიმონიძეს, ს. მ. იოკაძეს, ელ მიხ. ჩაჩავას და ივ. ივ. კოსტინს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ ტფილისის კომიტეტში.

ტფილისის კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება

ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის უჯრედების ბიურო ორშაბათს, 19 მაისს, საღამოს 7 საათზე, სახელმ. პოლიტ. ინსტიტუტის შენობაში იწვევს:

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის უჯრედების ბიუროს, პროფკომიტეტების ფრაქციის და სტუდენტთა ორგანიზაციების ყველა აქტიურ მუშაკების—კომუნისტების კონფერენციას.

დღის წესრიგში დასმულია ამხ. კანდელაკის მოხსენება სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მდგომარეობის შესახებ.

განსახილველი საკითხების მნიშვნელობის გამო ყველა ზემოაღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

უჯრედების ბიურო.

განცხადებები

გულდამწუხარი მშობლები: ივანე ბეჟანის ძე და მინადორა იაკობის ასული ხუხუნი, ბიძები — გრიგოლ ხუხუნი და ნაუმ ჯაიანი, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ახლობელ ამხანაგებს, რომ კვირას, 18 ამა მაისს, საღამოს 6 საათზე, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი ბერლინის სატყეო-საინჟინერო აკადემიის სტუდენტის

კლიმენტი ხუხუნის

მოსახსენებლად. 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები ვასილ და ტიშინკა, ძმებ: ვალოდია და ალიოშა დუდუჩავები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 25 მაისს, კვირას, დღის 12 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის თავზე პანაშვიდი მათთვის ძვირფასის უდროოდ დაკარგულის

გიორგი (ჟორჟიკა) დუდუჩავასი

[illegible] თემში (გორია) 998 1—1

ცოლი, მშობლები, დები, ძმები და ბიძები ამით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ და ამხანაგებს, რომ კვირას 18 მაისს დღის 12 საათზე დანიშნულია გარდაცვალებულის, სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის,

ერმოლე კონსტანტინეს ძე მდივნიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 999 1—1

ალექსანდრე რომანოზის ძე მრევლიშვილი, ნინო რომანოზის ასული ბაქრაძისა და დარია რომანოზის ასული ამილახვარისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას თავიანთ საყვარელი ძმის

გიორგი რომანოზის ძის მრევლიშვილის

(ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას, 18 მაისს დილის 11 საათზე, საკუთარი ბინიდან (გაბაშვილის შესახვევი № 9) დაკრძალვა კი ქ. მცხეთაში. 1001 1—1

ს. მ. უ. ს.

პოლიგრაფიული განყოფილება

გადავიდა

16 მაისიდან ბროსეს ქუჩაზე № 2

სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ყოფილ ექსპედიციის შენობაში). 1143 3—1

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ 27 მაისს, დღის 12 საათზე დანიშნულია

✱✱საჯარო ვაჭრობა✱✱

ზეპირი და დახურულ კონვერტებით შეტანილ განცხადებების საშუალებით, ქალ. თბილისის გამასწორებელი სახლებისათვის შემდეგი პროდუქტების მისაწოდებლად: პური, ხორცი, სამარხვო ზეთი, ლობიო, კართოფილი, კომბოსტო, ფქვილი, მარილი, შაშა, ფურაჟი და სხვა 1925 წლის 1 იანვრამდი 2000 პატიმარის გამოსაკვებათ.

წერილობითი განცხადებების შეტანის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია დილის 11 საათი, საჯარო ვაჭრობის დღეს.

კონდიციების და სხვა ცნობების მიღება შეიძლება გამასწორებელ სახლების სამმართველოში (ყოფ. ევანგულოვის ქ., № 2, მესამე სართული). ყოველდღე დილის 12 საათიდან დღის 2 საათამდი.

თუ 27 მაისს არ შესდგა საჯარო ვაჭრობა, მაშინ შემდეგი საჯარო ვაჭრობა შესდგება 1 ივნისს, დღის 12 საათზე.

ნ. 1134—2—2

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ◦ გამომცემლობა ◦

მარქსისტული ლიტერატურის განყოფილება

თანახმად ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის დადგენილებისა ქართულ ენაზე გადასათარგმნად და გამოსაცემად მიღებულია ქვემოდ დასახელებული შემდეგი წიგნები მარქსისტული ლიტერატურიდან:

1. ლენინი — თხზულებათა სრული კრებული (თანახმად ს. კ. პ. ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებისა).
2. ენგელსი — ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა.
3. „ — ანტიდიურინგი.
4. „ — მეცნიერული სოციალიზმის განვითარება.
5. მარქსი და ენგელსი — კომუნისტური მანიფესტი რიაზანოვის რედაქციით (პოპულიარული გამოცემა)
6. მარქსი — ენგელსის შესავალი უფლების ფილოსოფიაში.
7. რიაზანოვი — მარქსი და ენგელსი.
8. სტეკლოვი — მარქსი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა.
9. [illegible] — ფ. ენგელსი (ბიოგრაფია)
10. მარქსი — ადამიანი-რევოლუციონერი მოაზროვნე.
11. ბოგდანოვი და სტეპანოვი — პოლიტიკური ეკონომიის კურსი, ტომი მე 2-ე მეორეთ გამოცემა.
12. დიკშტეინი — ვინ რით ცხოვრობს. პლეხანოვის ბოლო სიტყვაობით.
13. [illegible] — შრომა და კაპიტალი.
14. მარქსი — შრომის ხელფასი, ფასი და მოგება.
15. ჰილფერდინგი — ბემ ბავერკი, როგორც მარქსის კრიტიკოსი.
16. მარქსი — კაპიტალის დაგროვება და კრიზისი.
17. ლაფარგი — კერძო საკუთრების წარმოშობა.
18. ბუხარინი — რანტიეს პოლიტიკური ეკონომია.
19. მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი.
20. [illegible] — მარქსის კაპიტალის მეორე ტომის პოპულიარიზაცია.
21. [illegible].
22. [illegible] — მარქსიზმის რეზიუმე,
23. [illegible] — ლექციის კონსპექტი მატერიალიზმის ისტორიის შესახებ.
24. პოკროვსკი — ეკონომიური მატერიალიზმი.
25. პლეხანოვი — მარქსიზმის ძირითადი საკითხები.
26. ტროცკი — ტერორიზმი და კომუნიზმი.
27. „ — 1905 წელი.
28. [illegible] — სოციალიზმის ისტორია.
29. [illegible] — რ. კ. პ. — 25 წელი.
30. სტეპანოვი — პარიზის კომუნა.
31. სტეკლოვი — 1848 წლ. რევოლუცია.
32. [illegible] — რუსეთის რევოლუციის მიმოხილვა,
33. [illegible] — ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში.
34. კუნოვი — კლასების და პარტიების ბრძოლა საფრანგეთში. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს.
35. ლუკინი — საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია.
36. პოკროვსკი — რუსეთის კულტურის ისტორია.
37. მარქსი და ენგელსი — ისტორიული მატერიალიზმი.

მარქსისტული ლიტერატურის გადმოთარგმნის და გამოცემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების შესახებ უნდა მიმართონ ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წევრს მარქსისტულ სექტორის გამგეს ამხ. [illegible].

მისამართი: რუსთაველის პროსპ. 25 — ტელეფონი 8—28, და საქ. სახელმწიფო გამომცემლობაში. 1—1 ნ. 1136

რაჟდენ გვეტაძე

ვირეშის მესია

ლექსების პირველი ტომი.
1 მანეთი. იყიდება ყველგან.

1—1

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილება № 65

ტფილისის მაზრის ფარგლებში მესაქონლეობის დარგის განვითარების დაცვის შესახებ.

1924 წლის მაისის „10" ტფილისი

ამ მიზნით, რომ მაზრის ფარგლებში დაცულ და განვითარებულ იქნას მესაქონლეობის დარგი, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს.

1. სოფლის საერთო საძოვრით სარგებლობის უფლება აქვს ყოველი ადგილობრივი მკვიდრს, თუ მისი ცხვრის რაოდენობა არ აღემატება 50 სულს

2. სოფლის მსხვილ მეცხვარეებს, რომელთაც აქვთ 50 სულზე მეტი ცხვარი, არ აქვთ უფლება ისარგებლონ სოფლის საერთო საძოვრებით

შენიშვნა: ამ კატეგორიის მესაქონლეები სარგებლობენ სახელმწიფო საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით საერთო წესით

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფელი დააყორულებს სათიბათ მიწის ამა თუ იმ ნაწილს, საქონლის პატრონები ვალდებულნი არიან გაანთავისუფლონ დასაყორულებელი ადგილები არა უგვიანეს 20 აპრილისა.

4. ყოველი მესაქონლე ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები, რათა მისმა საქონელმა არ მიაყენოს რაიმე ზარალი ადგილობრივი გლეხების პირნახულს.

5. თუ რომელიმე მესაქონლემ მიაყენა გლეხობას რაიმე ზარალი ზემოაღნიშნულ § 4-ის დარღვევის სახით, იმ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება ხდება სამართლის წესით: მიუხედავად ამისა ზარალის მიმყენებელი მესაქონლე ჯარიმდება ადმინისტრატიული წესით, როგორც სავალდებულო დადგენილების დამრღვევი.

6. მაზრის რაიაღმასკომებს და სოფლის საბჭოებს ევალებათ მათ მიერ გაცემული ყოველგვარი საერთო ხასიათის განკარგულებები, რომელიც შეეხება მესაქონლეობის საკითხს, შესაფერ შემთხვევაში აცნობონ მეცხვარეთა ამხანაგობებს „მწყემსს" და „ბირლიკ"ს და ამ ამხანაგობების თხოვნა შუამდგომლობებს გაუწიონ სათანადო ანგარიში.

7. ადგილობრივ რაიაღმასკომს და სოფლის საბჭოს ევალებათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რათა არ ექნეს ადგილი არავითარი კერძო სახით მიმართული დაბეგვრას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო კანონმდებლობით ან არ არის თბილისის აღმასკომის მიერ დადასტურებული.

8. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი პირები დაისჯებიან თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის ადმინისტრატიული ხელისუფლებით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთ თვემდე ანდა ჯარიმით ას ჩერვონულ მანეთამდე.

9. ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საკითხის შესახებ წინათ გამოცემული ყველა სავალდებულო დადგენილებები.

10. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა

თავმჯდომარე: [illegible]
მდივანი: [illegible]

1—1 ნ. 1145

სარეწავი და საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადების ვადების შესახებ

ა|კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ

თანახმად ა|კ ფინსახკომის კოლეგიის ა. წ. 24 აპრილის № 136 და ა|კ. ფინსახკომის ა. წ. 14 მაისის № 164 დადგენილებისა, დაწესებულია 1923—1924 წ. წ. აპრილ-სექტემბრის საგადასახადო ნახევარ წელში შემდეგი ვადები.

1. სახელმწიფო სარეწავი გადასახადისათვის:

1. სავაჭრო და სამრეწველო წარმოებების მეპატრონეთა მიერ ბრუნვის შესახებ (ოქტომბერ-მარტი 1923—1924 წ. წ.) განცხადებების შეტანა სარაიონო კომისიებში არა უგვიანეს 1924 წ. 25 მაისისა,

2. გადასახადის ფურცლების დაგზავნა გადამხდელთათვის 1924 წლის 20 ივნისს,

3. გადასახადის გადახდა არა უგვიანეს 1924 წ. 15 ივლისისა.

2. სახელმწიფო საშემოსავლო ქონებრივი გადასახადისათვის:

1. არა უგვიანეს 1924 წ 15 ივნისისა:

ა) ამ გადასახადის აკრეფის ინსტრუქციის 75, 87 92, 94 96 და 246 §§ ით. გათვალისწინებული სიების და ცნობების დაწესებულ ფორმით ფინინსპექტორებისათვის წარდგენა.

1. სახლის პატრონების ან მათი მოადგილეების მიერ სახლში მცხოვრებ პირთა შესახებ, 2 სარაიონო აღმასკომების მიერ იმ მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც უნდა იქნენ დაბეგრილი გადასახადით, 3. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების მიერ შენობების და მიწის განაკვეთების მფლობელთა და მოიჯარადრეთა შესახებ, 4 ჯანმრთელობის განყოფილებების მიერ ექიმების სიების და დამცველთა კოლეგიის მიერ კოლეგიის წევრთა სიების, 5 სახელმწიფო დამზღვევ ორგანოთა მიერ დამზღვევ აგენტების და აკვიზიტორების სიების, 6. სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო სავაჭრო-სამრეწველო წარმოებათა სიების გამგეობის და საბჭოს წევრთა, აგრეთვე პაის მქონე და ფულის შემნახველთა შესახებ.

ბ) ყველა დაწესებულებათა, წარმოებათა, საზოგადოებათა და მეურნეობათა მიერ დაწესებული ფორმით სიების წარდგენა (ინსტრუქციის 120 §) მუშა მოსამსახურეთა შესახებ, რომლების მიღებული გასამრჯელო ა. წ. თებერვალ-მარტში საშუალოთ შეადგენს თვეში 100 მანეთს და მეტს. ეს სიები წარედგინება იმ ფინინსპექტორებს, რომლების რაიონებში იმყოფება დაწესებულებანი.

გ) დაწესებული ფორმით დეკლარაციების შეტანა (უნდა ნაჩვენები იქნეს ყველა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი 1923 წ 1 ლ ოქტომბრიდან 1924 წ 1 ლ აპრილამდე და დასაბეგრავ ქონების ღირებულება) იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა მიერ, რომლების საერთო შემოსავალი აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს (დებულების მე 15 მუხლი და ინსტრუქციის 170 §: ქალაქ თბილისში — 450 მან., ბათომში — 400 მან, ქუთაისში, ფოთში და სოხუმში — 350 მან., და რესპუბლიკის სხვა ადგილებში — 300 მან, მუშა-მოსამსახურენი ვალდებულნი არიან შეიტანონ დეკლარაციები იმ შემთხვევაში, როდესაც მათი სამუშაო ხელფასიდან შემოსავალი ნახევარ წლის 1923—1924 წ. წ. ოქტომბერ-მარტში აღემატება 900 მანეთს ან მათ ჰქონდათ შემოსავალი სხვა წყაროებიდანაც და ასეთები დასაბეგრია საერთო შემოსავლის მიხედვით.

2. ფინინსპექტორის კანცელარიაში განცხადების გაკვრა იმ მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა შესახებ, რომლებსაც არ შეუტანიათ დეკლარაციები (ინსტრუქციის 48—173 §§; 1924 წ. 25 ივლისისთვის.

3) საკლასო გადასახადის განსაზღვრა №№ 1 და 2 გარიგებით (ინსტრუქციის 102 §), 1924 წ 15 ივლისისთვის.

4) საკლასო გადასახადის ხაზინაში შეტანა არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს 1-ლისა.

5. უწყებების დაგზავნა იმ გადამხდელებისათვის; რომლებიც დაიბეგრებიან საერთო შემოსავლის მიხედვით (ინსტრუქციის 222 §) არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს 1 პირველისა.

6. საშემოსავლო ქონებრივი გადასახადის პირველი ნახევრის გადასახადის (ოკლადის) შეტანა ხაზინაში 1924 წ ლ. სექტემბერს და მეორე ნახევრის 1-ლ ნოემბერს.

3. პირდაპირ გადასახადთა შესახებ არსებულ კანონთა დამრღვევნი იქნებიან სათანადოთ დაჯარიმებულნი

4. გადასახადების ფორმები და მათი შევსების წესის ცნობები უნდა მიღებული იქნეს რესპუბლიკის ფინანსთა ინსპექტორების კანცელარიაში

ა|კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში — ა. ღლონტი
გადასახადთა განყოფილების მმართველი — [illegible]

ნ. № 1147—1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღ.

სტაციონარ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ

[illegible] **ექ. სვიმონ ქიფშიძის** ხელმძღ.

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20 138—38—10

ექიმი გ. ზ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი სპეც. ციების წამლობა — შეშხაპ. 914 ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

იღ. 9—1 ს. დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
895—25—13

დავკარგე მარგალიტა გრიგოლის ასულმა [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული № 1 ჩაითვალოს გაუქმებულად. 996 ნ 1—

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი, № 53 [illegible] საწევრო წიგნაკი, მოცემული [illegible] ალექსანდრეს მასხულიას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—

დავკარგე სამხედრო შეკრისაგან განთავისუფლების მოწმობა 80 სევერიანე მირიანის ძე თავართქილაძის სახ ჩაითვალოს გაუქმებულად. 997 1—

დავკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი და მეტრიკა, გიორგი [illegible] მის ძე ორლოვ ორლიანცის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დავკარგე შრომის ბირჟის უმუშევრობის წიგნაკი განათ სექციის, თამარი ფირალოვის სახელზე ჩაითვ გაუქმებულად. 1002 1—

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული მ|გ მილიც. სამმ მოშიაშვილის სახელზე სააღრიცხვო ბარათი მოც რაიონ. სამხ მაგიდიდან ჩაითვალოს გაუქმებულად 987 2

შეჯიბრება
ხე-ტყის მასალების მიწოდებაზე

კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მშოლიარე ავადმყოფთათვის ბაკურიანის გზის სად. ლიბანში (ნიკოლაევი) სანატორიუმის აგება, ამით აცხადებს, რომ 1924 წ მაისის 24, დღის 12 საათზე დანიშნულია შეჯიბრება ხე-ტყის მასალის მიწოდებაზე. საჭიროა მიწოდებულ იქნეს შემდეგი მასალები: რგვალი ძელები 7-დან 8 ვერშ., 4 საჟ. სიგრძით — 180,000 კუბ. ფუტამდე და დახერხილი 40,000 კუბ. ფუტამდე, სიგრძით 4 საჟ. 1922—23 წ. მოჭრილი.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადებები უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით: „შეჯიბრებისათვის", რომლითაც იცემა ხე-ტყის მასალების მიწოდება სად. ლიბანში ასაგებ სანატორიუმისათვის: განცხადებები ჩადებულ უნდა იქნეს სპეციალურ ყუთში, რომელიც გაკეთებულია ა. კ. რკინისგზის დამზღვევ კასის შენობასთან, პლეხანოვის პრ. № 142.

განცხადებები შედგენილი უნდა იქნეს დაწესებული ფორმით. განცხადებებში აღნიშნული უნდა იყოს გარკვეული და საბოლოო ფასი მისაწოდებელ მასალებისა ჩერვონეცის მანეთებში, ფასი უნდა აღინიშნოს ციფრებით და სიტყვებით. იქ არ უნდა იყოს ნაჩვენები მისი პროცენტული შემცირების შესაძლებლობა კონკურენციისათვის დაწერილ ფასებთან შედარებით, ასეთი მითითება არ იქნება მიღებული მხედველობაში, განცხადებაში უნდა იყოს მონაწილეობის მიღების თანხმობა ამიერ კავკასიის რკინისგზებზე არსებულ ტექნიკურ და საერთო პირობების დაცვაზე, ცნობა შესახებ გადასახადზე.

ამ განცხადებას თან უნდა ახლდეს:

ა) ქვითარი განცხადებული ფასის 10 პროცენტის გირაოთ შეტანის შესახებ (გირაო შეტანილი იქნება ა.—კ. რკინისგზის დამზღვევ კასაში) ან მოწმობა ამ მიზნით დაბლოკებულ ან კუთვნილ თანხების შესახებ, თანხის რაოდენობის აღნიშვნით, ან თანაბარ ღირებული გარანტია, რომლის მიღებაზე თანხმობას უნდა აცხადებდეს ა.—კ. რკინისგზების დამზღვევი კასა.

ბ) განცხადების შემტანის ხელწერილი იმის შესახებ, რომ თუ საჯარო ვაჭრობის და მტკიცების შემდეგ მიწოდება დარჩება მას მის მიერ განცხადებულ ფასში და სამშენებლო კომისიის მიერ წარმოდგენილ პირობებში და ის უარს იტყვის დაწესებულ ვადაში ხელშეკრულების დადებაზე, ან და არ გამოცხადდება ამისათვის 7 დღის განმავლობაში კონკურენციის შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაშინ სამშენებლო კომისიას უფლება აქვს ან აქციოს შეტანილი გირაო დამზღვევი კასის შემოსავლად, ან დატოვოს ის გარანტიათ და მოსთხოვოს იმ პირს, რომელმაც უარი სთქვა ხელშეკრულების დადებაზე, რკინისგზების დამზღვევი კასისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურება.

შეჯიბრება მოხდება 1924 წ. მაისის 24, დღის 12 საათზე; ამ ვადისათვის უნდა დასრულდეს განცხადებების შემოტანა.

შეჯიბრების შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 5 დღის ვადისა, როდესაც გირაოები დაუბრუნდება იმ პირებს, რომელთაც სამუშაო არ დარჩებათ. განცხადებულ ფასების და პირობების განხილვის დროს ა|კ. რკინისგზების დამზღვევი კასა არ ხელმძღვანელობს ფასების მხოლოდ სიდიდით თუ სიმცირით, კასას შეუძლია დაამტკიცოს უფრო მაღალი ფასების გამომცხადებელ კონკურენტის წინადადებაც, თუ მას [illegible] უფრო მეტი ნდობით, ან თუ ეს სხვადასხვა მოსაზრებით უფრო მეტ ინტერესს წარმოადგენს სამშენებლო კომისიისათვის. განცხადებები, რომლებიც არ იქნება უზრუნველყოფილი გირაოთი, ან შეტანილი იქნება აღნიშნული დღის 12 საათის ან კონკურენციის დამთავრების შემდეგ—არ იქნება განხილული

ის პირები, რომელთაც შემოაქვთ განცხადებები, ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ ტექნიკურ და საერთო პირობებს ხე-ტყის მასალების მიწოდებისათვის ა. კ. რკინის გზებზე, ტიპიურ ხელშეკრულებებს (რომელთა წაკითხვა შეიძლება ა. კ. რკ. გზების დამზღვევი კასის კანცელარიაში, პლეხანოვის პრ. № 142, სამუშაო საათებში).

ყველა დანარჩენი ხარჯები დაწვრილებით მოყვანილია ზემოდ ჩამოთვლილ საერთო პირობებში ა. კ. რკინის გზებზე მუშაობის და მიწოდებისათვის. შეჯიბრებისათვის გაგზავნილ პაკეტებში ფული არ შეიძლება ჩადებულ იქნეს, ვინაიდან ა. კ. რკინის გზების დამზღვევი კასა, რომელიც ღებულობს და ინახავს ამ პაკეტებს, როგორც ფულოს, არ მიიღებს პასუხისმგებლობას ამ ფულის შენახვისათვის.

ვადა მიწოდების შესრულებისათვის განაწილებულია ასე:

15 ივნისს	10,000 კუბ. ფუტ. დახერხილი მასალა	10 ივნისს	20,000 კუბ. ფუტ. გათლილი მასალა
1 ივლისს	10,000 „ „ „ „	20 ივნისს	40,000 „ „ „ „
15 ივლისს	10,000 „ „ „ „	1 ივლისს	40,000 „ „ „ „
1 აგვისტოს	10,000 „ „ „ „	10 ივლისს	40,000 „ „ „ „
		25 ივლისს	40,000 „ „ „ „
სულ	40,000 კუბ. ფუტ. დახერხილი მასალა	სულ	180,000 კუბ. ფუტ. გათლილი მასალა

მისაწოდებელ მასალების რაოდენობა შეიძლება შემცირებულ ან გადიდებულ იქნეს 25 პროცენტით. მასალების ჩაბარების ადგილათ სასურველია ბორჯომ ბაკურიანის რკინის გზის რაიონი, მაგრამ შეიძლება ჩაბარება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყოველ სადგურზე

ნ. 1142 1—1. ლიბანის სანატორიუმის სამშენებლო კომისია.

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის

მთავარი საკურორტო სამმართველო

კურორტებზე — ბორჯომში და აბასთუმანში იცემა ოთახები პირველი მოთხოვნილების ავეჯეულობით. პროფკავშირების წევრები იხდიან მთელი სეზონისათვის:

რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 100 მანეთამდე — 1 მან. კვადრ. არშინზე.
რომლებიც ღებულობენ ჯამაგირს 100 მანეთზე ზევით — 1 მ. 50 კაპ. კვ. არშინზე
არა წევრები . . . . — 5 მანეთს კვ. არშინზე.

საზაფხულო სეზონი ცხადდება 15 ივნისიდან—15 ოქტომბრამდე

[illegible] საერთო რაოდენობის 75 პროც. ეძლევა პროფკავშირების წევრებს.

განცხადებები, რომლებისთვისაც გადახდილ უნდა იქნეს საგერბო გადასახადი 2 მანეთის რაოდენობით, მიიღება 20 მაისიდან. უკვე დაიწყო ბორჯომის და აბასთუმანის სანატორიუმებში ფასიან ავადმყოფების ჩაწერა. სწარმოებს ყოველგვარი საკურორტო და სპეციალური წამლობა კვალიფიციური სპეციალისტები — პროფესორები და ექიმები. სრული კმაყოფის, კვების და წამლობის ღირებულება თვიურად პროფკავშირების წევრთათვის — 150 მანეთი, კერძო მოქალაქეთათვის — 210 მანეთი. გზა — ავადმყოფების ხარჯზე. სანატორიუმები გაიხსნება 25 ივნისიდან. განცხადებები მიიღება 1 ივნისამდე

ბორჯომი: სიმებიანი ორკესტრი, კურზალი, ტუტიანი ნახშირმჟავა ვანები, ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი, გახსნა 15 ივნისიდან.
აბასთუმანი: მინერალური ვანები ჰიდრო-თერაპევტიული განყოფილებით, გახსნა 15 ივნისიდან.
ახტალა: სამკურნალო ტალახით მკურნალობისათვის, გახსნა 15 ივნისიდან.
წყალტუბო: მინერალური რადიოაქტიური წყლები, 20 მაისიდან
[illegible]: ტუტიანი — ნახშირმჟავა რკინიანი წყლები, გახსნა 15 ივნისიდან.
ბახმარო: სამთო კლიმატიური სადგური, გახსნა 1 ივლისიდან.

განცხადებები მიიღება: [illegible] ქუჩა № 30, ოთახი № 21. 12 დან 2 საათამდე მუშაობის დღეებში.

№ 1109 3-3

რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამრეწველო ბიუროსთან არსებული სავაჭრო ამხანაგობა

„კრაისტორგი"

თბილისის განყოფილება. სოლოლაკის ქ. № 4 ტელ. 8—71

სახელმწიფო ორგანოების, კოოპერატიულ ორგანიზაციების და კერძო პირების საყურადღებოდ
იყიდება შემდეგი პროდუქტები:

1. „ნოვოროსცემენტი"-ს: ცემენტი პორტლანდის, ნოვოროსიისკის სახელმწიფო ქარხნების. ეტერნიტი (მუდმივი სახურავი) — ყველაზე უფრო კარგი ხარისხის, ცეცხლის გამძლე.
2. „იუგხიმტორგი"-ს შაბიამანი და სხვა ქიმიური პროდუქტები — ბონდიუგის სახელმწიფო ქარხნების. პარფიუმერია: ხელისაპნი საპონი, ოდეკოლონი, პუდრი, და სხვ. „ჟირკოსტ"-ის (ყოფ. ბროკარი და რალლე) სახელმწიფო ქარხნების. [illegible] საქონელი — ყოფ. კელერის და ფერეინის ქარხნების „ლაკი" და სალებავები „ლაკოკრასკის" ქარხნის (ყოფ. მამონტოვის სლოვიანიშკოვის და სხვ.)
3. „იუგმასლო"-ს: მზესუმზირას ზეთი, [illegible], ოლიფა, საპონი ყუბანის და დონის ქარხნების.
4. „იუგსახპრომტორგის": ფხვნილი შაქარი ყუბანის სახ. შაქრის ქარხნების ასანთი — ასანთის ტრესტის.
5. „გოსკრაიმეტკონტორის": ცინკი, გოგირდის სიმჟავე, სხვადასხვა რკინეულობა, ლურსმნები, აგურები და სხვა პროდუქტები კავკასიის ქარხნის „კავცინკ"-ის

ფასები ხელმისაწვდომია.

5—2 ნ. 1182

შეიძლება [illegible]

განყოფილების გამგე [illegible]